# სარბიელი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 18 სექტემბერი 2008 №215 (3439) ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

## ოთხი იქსის დღე და ასათიანის წუთი




ალესანდრო დელ პიერო და „იუვენტუსი“ ჩემპიონთა ლიგას „ზენიტთან“ მალაყით დაუბრუნდნენ

## ამერის გურია-რია

### თასს სენსაციები ჩვენთანაც სცოდნია



ლანჩხუთელებმა შაჯვებიც და „ამერიც“ ლანძღვა-გინებით გამოისტუმრეს

გაგა კაიძილაძის ფოტო




გაგა კაიძილაძის ფოტო

## 61:59 შვედებმა ჩვენებს დააფარეს

# დავით ყიფიანის თასის ყაზბეგის გათამაშება
## მერვედფინალი. საპასუხო მატჩები

www.pfl.ge

# ამერის გურია-რია

ლანჩხუთი. 17 სექტემბერი. 16 საათი. ე. შევარდნაძე. 600 მაყურებელი

### გურია 0:2 ამერი

| | |
|---|---|
| 0:1 ლაფერაშვილი (45), 0:2 გვაძაბია (52) | |
| გურია: გოგუაძე, რ. კუკულაძე, გოგიბერაძე, ცინცაძე, იმნაძე, კილაძე (შეწირული 60), მგელაძე, კვერენჩხილაძე (მოდებაძე 60), ტ. კუკულაძე, ბეგოიძე (ჯორბენაძე 69), ურუშაძე<br>სათადარიგონი: ჩხაიძე, ქურიძე, სიხარულიძე<br>მწვრთნელი: ავთანდილ ნარიაშვილი | ამერი: ლ. ნადირაშვილი, სანიკიძე, გვაძაბია, ხატიაშვილი, ელბაქიძე კაკაბაძე, ხუციძე, ჩიმაკაძე (გრძელიძე 79), ქებაძე (ლაფერაშვილი 40), ტიკურიშვილი (ბოჯგუა 66), ბენდელიანი<br>სათადარიგონი: გვენცაძე, ადეიშვილი, ჯელაძე, ჯინიკაშვილი<br>მწვრთნელი: გიორგი ჩიხრაძე |
| გაფრთხილება: სანიკიძე (19), მგელაძე (22), გოგიბერიძე (30), მგელაძე (41), ცინცაძე (78), მოდებაძე (80) | |
| გაძევება: მგელაძე (41), ტ. კუკულაძე (45) | |
| მსაჯები: ა. ნონიკაშვილი, ლ. თოდრია, ზ. ფიფია, ა. კრიჭაშვილი | |

**მძიმე** ბრძოლა გადაიტანა ლანჩხუთში თბილისის „ამერმა“.

საშინაო მატჩში 1:2 წაგების შემდეგ „ყვითლების“ მეოთხედფინალში გასვლა ძალიან საეჭვოდ ჩანდა, მაგრამ გიორგი ჩიხრაძის გუნდმა ამ ამოცანას თავი გაართვა და სასურველი 2:0 გაახერხა გურიაში.

თამაში დაძაბული რომ იყო, ბარათების რაოდენობითაც მიხვდებოდით — მსაჯმა 6 ყვითელი და 2 წითელი უჩვენა ფეხბურთელებს.

მასპინძლები უხეშობას არ ერიდებოდნენ და ამადაც დარჩნენ 9 კაცით, რაც „ამერმა“ სათავისოდ გამოიყენა — პირველი ტაიმის ბოლო წუთზე ლადო ლაფერაშვილმა გახსნა ანგარიში, 52-ე წუთზე კი ზურაბ გვაძაბიამ სამეოთხედფინალო გოლი შეაგდო.

ნამატჩევს სტადიონზე მისულმა 600-მდე კაცმა ლანძღა-გინება არ დააკლო მსაჯებს და სტუმართა გუნდს, ამერელთა თავკაც გიორგი ჩიხრაძეს ქვაც კი მოხვდა, თუმცა საბედნიეროდ, რია-რია მალე ჩაწყნარდა და სერიოზულად არავინ დაშავებულა.

**ლუკა თალაქვაძე**

# უცნაური ამბავი

**ტარიელ შოთნიაშვილი** გორიდან

გორი. 17 სექტემბერი. 16 საათი. ქართლი. 100 მაყურებელი

### სპარტაკი 1:3 მერანი

| | |
|---|---|
| 1:0 თექთუმანიძე (11), 1:1, 1:2 ჩალაძე (62, 68), 1:3 რეხვიაშვილი (90) | |
| სპარტაკი: ქვილითაია, დათუნაშვილი (მ. ლონლაძე 71), ქორიძე, ჯანგიძე, მამუკაშვილი, შალამბერიძე, თარხნიშვილი, მაისურაძე (გოგოხია 46), თექთუმანიძე (ოსეფაშვილი 74), გ. ხიდეშელი, სირბილაძე<br>სათადარიგონი: გ. იაშვილი, კუპრეიშვილი, ბ. ხაჭიპერაძე, კობახიძე<br>მწვრთნელი: კობა ჟორჟიკაშვილი | მერანი (მ): ძაგანია, ჩხიკვაძე, ფარცვანია, ვაშაკიძე, კვიტატიანი, პაპადოპულოსი (ცაგარეიშვილი 83), წოწორია, გოგილაძე (თოდუა 46), ჩალაძე, კირკიტაძე, ციცხვაია (რეხვიაშვილი 85)<br>სათადარიგონი: ბიწაძე, შეროზია<br>მწვრთნელი: მალხაზ ჟვანია |
| გაფრთხილება: ცაგარეიშვილი (86), რეხვიაშვილი (90) | |
| მსაჯები: გ. დოგრაშვილი, ე. ნარმანია, დ. სანოძე, ჯ. ბუიშვილი | |

**პირველი** მატჩი „სპარტაკმა“ 1:0 მოიგო და საპასუხო შეხვედრაში ყველა ცხინვალელთა წარმატებას ელოდა, მაგრამ კიდევ ერთხელ დამტკიცდა, რომ ფეხბურთი ძნელად პროგნოზირებადი თამაშია.

პირველ წუთებში გუნდებს საზიარო არაფერი გაუკეთებიათ, მე-11 წუთზე კი კარში პირველივე დარტყმა შედეგიანი გამოდგა — ირაკლი სირბილაძის პასით გიორგი თექთუმანიძემ შეაგდო.

ტაიმიც ასე ჩამთავრდა.

59-ე წუთზე „სპარტაკი“ მეორე გოლთანაც ახლოს იყო, თუმც ნუკრი გოგოხიამ ძელს გაარტყა.

სტუმრებიც თითქოს უკეთ ათამაშდნენ და ლაშა ჯანგიძემ საკუთარ საჯარიმოში უხეში შეცდომა დაუშვა, პაპადოპულოსმა ბურთი ჩალაძეს გადააწოდა და 1:1.

„მერანს“ გოლმა ფრთები შეასხა და ჩალაძემ მახვილი კუთხიდან მეორედაც დაამწუხრა მასპინძლები.

ბოლო წუთზე კი შეტევაში წასულ „სპარტაკს“ კონტრშეტევა გაეპარა და შეცვლაზე შესულმა რეხვიაშვილმაც იხეირა — 1:3.

# ვიცე-გუბერნატორის ფეხი: მეორე მოგება



**საქართველოს** 17-წლამდელთა ნაკრები ავსტრიაშია შეკრებაზე. გუშინწინ ჩვენი გუნდი კერნტენის მხარის ვიცე-გუბერნატორმა გერჰარდ დოფლერმა მოინახულა, რომელმაც აღნიშნა, რომ მოხარულია ქართველთა სტუმრობით და ავსტრიელი ხალხის სახელით საქართველოს ამ მძიმე პერიოდში თანადგომა გამოუცხადა.

„ჩვენ მოხარულნი ვიქნებით, თუ ქართული გუნდების სტუმრობა კლაგენფურტის მხარეში უფრო გახშირდება“ — განაცხადა დოფლერმა.

მან საქართველოს ნაკრებს და დელეგაციის ხელმძღვანელებს სპორტული ინვენტარი და სამახსოვრო საჩუქრები გადასცა. თავის მხრივ, ქართულმა მხარემ სტუმრები სუვენირებით დაასაჩუქრა.

გუშინ კი ჩვენმა 17-წლამდელებმა, რომელთაც 22-27 სექტემბერს ევროპის 2009 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი ელით უნგრეთში, მეორე ამხანაგური შეხვედრა ჩაატარეს.

გელა შეყილაძის გუნდმა კერნტენის „აუსტრიას“ ახალგაზრდული შემადგენლობა 2:1 დაამარცხა.

ქართველებმა ორივე გოლი პირველ ტაიმში გაიტანეს: 30-ე წუთზე ნიკა ძალამიძემ ირაკლი შეყილაძის პასისას თავურით გახსნა ანგარიში. 33-ე წუთზე კი თავად შეყილაძემ გაიტანა კოტე გაბაშვილის პასით.

მასპინძლებმა 70-ე წუთზე გაქვითეს ერთი ბურთი — ავსტრიელებმა მეკარის და მცველების შეუთანხმებლობით ისარგებლეს.

ჩვენებს მომენტები კიდევ ჰქონდათ: ირაკლი შეყილაძეს (ორჯერ), ნიკა ძალამიძეს, ლაშა ჩაფიძეს და დავით ხოჭოლავას ცოტა დააკლდათ გასატანად.

*საქართველო: გ. ნადირაძე, კვეკვესკირი, ფუტკარაძე, ჯიმშელეიშვილი, აფაქიძე (ჭანტურია 68), ელიზბარაშვილი (მ. კობახიძე 60), ანანიძე, ძალამიძე, გაბაშვილი (ამაშუკელი 48), ჩაფიძე (ხოჭოლავა 62), ი. შეყილაძე (ჯიშკარიანი 58).*

საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრები უნგრეთში 20 სექტემბერს გაემგზავრება.

**ბაჩა ფალამბერიძე**

თბილისი. 17 სექტემბერი. 16 საათი. დილმის ბაზა. 50 მაყურებელი

### თბილისი 0:4 დინამო

| | |
|---|---|
| 0:1 0:2 მერებაშვილი (49, 66), ვაწაძე (73), ოდიკაძე (76) | |
| თბილისი: ხარშილაძე, სარაჯიშვილი, მიქელაძე, ოდიშარია, სებისკვერაძე (ი. დევდარიანი 82), გურეშიძე, დ. ამისულაშვილი, ზვიადაძე, კბილცეცხლაშვილი (ჯაში 46), ხოხონიშვილი, ტორონჯაძე (ბელქანია 72)<br>სათადარიგონი: გ. გიორგობიანი, ჭაფოძე, გ. სულუხია, ი. მოდებაძე<br>მწვრთნელი: გელა გომელაური | დინამო: ლორია, შ. კაშია (გ. მინდორაშვილი 46), გ. კაშია, კრშკო, ელიავა, ნერგაძე (ოდიკაძე 64), დილმელაშვილი, ინწკირველი, ნ. ჯიშკარიანი, გ. მერებაშვილი (ქანთარია 69), ვაწაძე<br>სათადარიგონი: ოვონო, თომაშვილი, ხმალაძე, სპასოევიჩი<br>მწვრთნელი: რაინერ ცობელი |
| გაფრთხილება: კრშკო (79) | |
| მსაჯები: დ. ხარიტონაშვილი, ზ. გურგენაძე, დ. კურტანიძე, თ. გვანცელაძე | |

# დინამომ კუპერს გოლები ანახა

**ნუკრი ლოლაძე**

**ჩვენი** ნაკრების თავკაცი ექტორ რაულ კუპერი ამ გუნდების პირველი შეხვედრის (6:1) დროსაც დაწყებიდან რამდენიმე წუთში მოვიდა. მაშინ გოლი მალევე გავიდა, ამჯერად კი არგენტინელს გოლის სანახავად საკმაოდ ხანს დასჭირდა ლოდინი.

პირველმა 45-მა წუთმა ულიმღამოდ ჩაიარა და საგოლე შანსი არც ერთ გუნდს არ მისცემია.

ეტყობა, შესვენებისას დინამოელთა მწვრთნელმა რაინერ ცობელმა ფეხბურთელები შეაფუცხუნა და უკვე 49-ე წუთზე ლექსო ინწკირველის პასით გიორგი მერებაშვილმა იხეირა.

მალევე დავით დილმელაშვილმა ძელს გაარტყა ბურთი.

დინამოელები დაწოლას აგრძელებდნენ, „თბილისს“ კი ერთხელაც არ შეუწუხებია გიორგი ლორია.

ჩემპიონმა მეორე გოლი 66-ე წუთზე გაიტანა. შეცვლაზე შესულ დავით ოდიკაძეს რთული ბურთი აუღო მიხეილ ხარშილაძემ, თუმც შეტევამ მაინც არ ჩაიარა უგოლოდ და მერებაშვილმა დუბლი მიითვალა.

იმავ ოდიკაძის მარჯვნიდან ჩაწოდებულს მათე ვაწაძემ ამოსცხო შედეგიანად და ბურთი ერთი შეხებით ჩააჭედა ცხრიანში — 0:3.

შეგახსენებთ, რომ პირველ შეხვედრაში ვაწაძემ ჰეთ თრიქი შეასრულა.

უგოლოდ არც ოდიკაძე დარჩა. მან ზაალ ელიავას პასი აქცია გოლად — 0:4. ეს 76-ე წუთზე მოხდა და კუპერმა თავის თანაშემწესთან ერთად დილმის ბაზა დატოვა.

კიდევ შეეძლო „დინამოს“ ანგარიშის გაზრდა, მაგრამ ზვიად ქანთარიას დარტყმული ხარიხამ აისხლიტა...

# ლოკომოტივი და ისევ ალექსიძე

ჭიათურა. 17 სექტემბერი. 16 საათი. თ. მაღრაძე. 1 000 მაყურებელი

### ჭიათურა 1:3 ლოკომოტივი

| | |
|---|---|
| 0:1 ალექსიძე (193), 1:1 ხაჭიპერაძე (43), 1:2 ალექსიძე (65), 1:3 ჩაგელიშვილი (74) | |
| ჭიათურა: ბადურაშვილი, კველიშვილი, გ. ბრეგვაძე, ბრუსლი, ლ. ეგაძე, ძაგანია (დარჯანია 19), სეფერთელაძე, ნგოკო, ვ. ტყემალაძე (ნ. ტყემალაძე 87), სევასტოპულო (გოგბერაშვილი 84), ზ. ხაჭიპერაძე<br>მწვრთნელი: გიგლა იმნაძე | ლოკომოტივი: გ. ლომაია, ფარულავა, ლ. გრიგალაშვილი, სარალიძე, კაიშაური (ბებუა 60), ცქიტიშვილი (კ. მახარაძე 65), ი. სამხარაძე, ჩირიკაშვილი, კახელიშვილი (დ. ჩაგელიშვილი 70), დარასელია, ალექსიძე<br>მწვრთნელი: გიორგი კიკნაძე |
| გაძევება: ბადურაშვილი (19) | |
| მსაჯები: ვ. გუმბერიძე, ზ. ბერულავა, თ. ხუჭუა, ი. ურუშაძე | |

**მიუხედავად** იმისა, რომ თბილისის „ლოკომოტივმა“ პირველ შეხვედრაში 3:0 იმარჯვა, გიორგი კიკნაძე ზემო იმერეთში საბრძოლო შემადგენლობით ჩავიდა.

ჭიათურაში მატჩმა საკმაო ინტერესი გამოიწვია და შეხვედრას 1000 გულშემატკივარი დაესწრო.

მე-19 წუთზე მასპინძლები ცუდ დღეში ჩავარდნენ — გიორგი კახელიშვილი მეკარესთან პირისპირ დარჩა და მისი მოტყუებაც მოახერხა, თუმც გიორგი ბადურაშვილმა წესის დარღვევით შეაჩერა — პენალტი და გაძევება.

რატი ალექსიძემ შეცვლაზე შესულ ზურაბ დარჯანიას აუღელვებლად გაუტანა.

კაცნაკლულმა „ჭიათურამ“ ტაიმის მიწურულს გათანაბრება მოახერხა. მცველების შეცდომით ზაურ ხაჭიპერაძემ ისარგებლა და 1:1.

მეორე ნახევარში უმაღლესლიგელებმა მაინც იძალეს. ალექსიძე კიდევ ერთხელ გამოირჩა, წერტილი კი შეხვედრას შეცვლაზე შესულმა დავით ჩაგელიშვილმა დაუსვა.

**ლუკა თალაქვაძე**

## დავით ყიფიანის თასის ყაზბეგის გათამაშება

www.pfl.ge

საჩხერე. 17 სექტემბერი. 16 საათი. ცენტრალური. 300 მაყურებელი

### ჩიხურა 1:0 ზესტაფონი

| | |
|---|---|
| 1:0 მიქაძე (63) | |
| ჩიხურა: მწყერაშვილი (დოლაძე 46), მაჭარაშვილი, ბარაბაძე, ზივზივაძე, ტყებუჩავა, ნოზაძე, ჩიკვაიძე, ჭილაძე (გულიაშვილი 62), დოლონაძე, მ. მიქაძე, როგავა (პეტრიაშვილი 58) სათადარიგონი: კობახიძე, ზაბახიძე, ცარციძე, ხვედელიძე მწვრთნელი: სოსო ფრუიძე | ზესტაფონი: რ. კვასხვაძე, ს. თოდუა, გ. ხიდეშელი, ფრიდოლინი, ბენაშვილი (ნ. კვასხვაძე 62), ძარია (ჟონატასი 74), გ. ნუგ. ჭელიძე, იონანიძე (ლომაშვილი 66) სათადარიგონი: ჭანტურია, შ. ლონლაძე, უ. ლობჟანიძე, ბ. გოცირიძე მწვრთნელი: თემურ მახარაძე |
| გაფრთხილება: როგავა (48) | |
| მსაჯები: გ. კიკაჩეიშვილი, კ. გაბრიაძე, ნ. რუსიშვილი, დ. სანაია | |
| დამკვირვებელი: დ. ჭანტურია (სოხუმი) | |

# ზესტაფონს საჩხერეში მიზანი გაუმრუდდა

ბექან ჩხეიძე ზესტაფონიდან

ამ წყვილში რომ „ზესტაფონი“ ფავორიტი იქნებოდა, ეჭვი არავის ეპარებოდა, თანაც ზესტაფონში ფეროელებმა ხუთი უპასუხო ბურთი გაუტანეს სტუმრებს.

ერთადერთი მოტივაცია კი ამ მატჩში ის იყო, რომ საჩხერელებს თავის სტადიონზე ღირსეულად ეთამაშა, რაც ნაწილობრივ გამოუვიდა.

„ზესტაფონი“ გადახალისებული შემადგენლობით ეთამაშა მასპინძლებს. პირველი სახიფათო მომენტი „ჩიხურამ“ შექმნა მე-2 წუთზე, როგავა შეყოვნდა, რითაც ისარგებლა როინ კვასხვაძემ და განმუხტა მომენტი.

მე-7 წუთზე ზურაბ იონანიძემ კარგად შენიშნა მურთაზ დაუშვილი, თუმცა მას დარტყმა არ გამოუვიდა...



[illegible] ფოტო

თემურ მახარაძის გუნდი საჩხერეში დამარცხდა

მე-18 წუთზე ალექსი ბენაშვილმა იაქტიურა მარჯვენა ფრთაზე, კარგი გადაცემა გაუკეთა საჯარიმოში გიორგი ხიდეშელს, მაგრამ კვლავ უზუსტობა...

მერე საჩხერელებსაც შეეძლოთ გატანა — არმაზ დოლონაძე ურტყამდა მახვილი კუთხიდან და კვასხვაძემ ფეხით მოახერხა ბურთის მოგერიება. 32-ე წუთზე კი „ზესტაფონში“ დაბრუნებული გიორგი ჭელიძე გავიდა დასარტყმელ პოზიციაზე და მასაც უღალატა სიზუსტემ.

50-ე წუთზე ბენაშვილის ჩაწოდებას კამერუნელი მცველი ბოიომო ფრიდოლინი გამოეხმაურა — ბურთი ოდნავ ასცდა კარს.

57-ე წუთზე ცენტრში უწყინარ სიტუაციაში შეცდნენ სტუმრები. როგავა მეკარესთან პირისპირ გავიდა და...

აქედან ექვს წუთში მატჩის ერთადერთი გოლიც ვნახეთ: საჯარიმოსთან შექმნილი არეულობით კარგად ისარგებლა მირიან მიქაძემ, თუმცა მეკარესთან პირისპირ გასულს პირველი დარტყმა კვასხვაძემ აულო, დამატებაზე ისევ მირიანმა იყოჩაღა და სტადიონზე მისული მცირერიცხოვანი გულშემატკივარი გაახარა — 1:0.

თამაშის ბოლოსკენ ზესტაფონელები გააქტიურდნენ. 83-ე წუთზე ნიკა კვასხვაძემ კარგად ითამაშა მარჯვენა ფრთაზე, ინდივიდუალური ოსტატობით გავიდა დასარტყმელ პოზიციაზე, მაგრამ დარტყმა გამოუვიდა ძალიან უხეირო.

მალევე ხიდეშელმა მოსინჯა შალვა დოლაძის საიმედოობა. ბოლო წუთზე კი გიორგი ჭელიძე ურტყამდა 2-3 მეტრიდან და მეკარეს ველარ აჯობა.

18 სექტემბერი

ბაია ზუგდიდი — ოლიმპი რუსთავი (1:1)

მსაჯები: გ. ვადაჭკორია, ზ. ჯვარიძე, გ. ყრუაშვილი, მ. ურუშაძე

საფეხბურთო კლუბი „ვიტ ჯორჯია“ სამძიმარს უცხადებს
კლუბის პრეზიდენტ გურამ რუხაძეს
დედის
გარდაცვალების გამო

სარბიელელები თანაგრძნობას ვუცხადებთ
„ვიტ ჯორჯიას“ პრეზიდენტ გურამ რუხაძეს
დედის
გარდაცვალების გამო

geo_geo_fan@hotmail.com

# რამდენჯერ უნდა დავაბიჯოთ ფეხი ერთიდაიგივე ნალმს?!

G. AFRIDONIDZE: ხშირად კითხულობენ, გვყავს თუ არა ნაკრები, რომელსაც შეუძლია რაიმე წარმატების მიღწევა? ვფიქრობ და, ამაში დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენ არანაკლები დონის მოთამაშეები გვყავს, ვიდრე, ვთქვათ, რუსეთს, შვედეთს, ირლანდიას და, თუნდაც საბერძნეთს. მაგრამ მათგან განსხვავებით, ჩვენი პრობლემა ორგანიზებულობა, მოთამაშეებისთვის სწორი ფუნქციების შერჩევა, მათ სტილზე მორგებული სათანადო ტაქტიკის გამოძებნა და სათამაშო დისციპლინის დაცვაა. ყველამ კარგად იცის, რომ ორგანიზებულობით, სწორი ტაქტიკით და სათამაშო დისციპლინით მოიგო 2004 წლის ევროპის ჩემპიონატი საბერძნეთმა, ამ მეთოდების გამოყენებით გააღწია ევროპის 2008 წლის ნახევარფინალში რუსეთმა, ამით შეიძლება ავხსნათ ირლანდიისა და შვედების სტაბილური თამაში. თუმცა, რა შორს მივდივართ, ჩვენც ხომ გვაქვს ამის მაგალითი? განა ამის შედეგი არ იყო თბილისის „დინამოს“ საოცარი გარდაქმნა 70-იანი წლების დასასრულს და 80-იანი წლების დასაწყისში მთავარ მწვრთნელად ნოდარ ახალკაცის დანიშვნის შემდეგ, როცა მან მაჩანჩალა გუნდი ევროპაში ანგარიშგასაწევ ძალად აქცია?! რა სასწაული მოახდინა მან? ფეხბურთელთა კონტინგენტი ხომ იგივე დარჩა? რა და, ყველა მოთამაშეს შეურჩია ის ადგილი, სადაც ისინი მაქსიმალურად გამოავლენდნენ თავიანთ ნიჭს და უნარს. ასე მაგალითად, ნოდარ ახალკაცმა შოთა ხინჩაგაშვილი, რომელსაც ყველა წინამორბედი მწვრთნელი ჯიუტად აყენებდა მარცხენა მცველად, იმის მიუხედავად, რომ მას შედარებით სუსტი მარცხენა ფეხი ჰქონდა და არც სათანადო სისწრაფე გააჩნდა შეტევებში ჩასართველად, ცენტრალურ მცველად გადაიყვანა და მისი მონაცემების სწორი გამოყენებით, ძლიერი ბასტიონი შექმნა. მსოფლიოში ერთ-ერთ საუკეთესო ცენტრალურ მცველად იქცა სათამაშო ადგილის შეცვლის შემდეგ ალექსანდრე ჩივაძეც, ახალი ბრწყინვალებით ათამაშდა ვიტალი დარასელია მარჯვენა გარემარბიდან მარცხენა ნახევარმცველის პოზიციაზე გადაყვანით, ალარაფერს ვამბობ დათო ყიფიანზე, როცა მისი უკან დაწევით, ფაქტობრივად, ახალი ტაქტიკური სქემა შეიქმნა გუნდში. შეიძლება გავიხსენოთ თენგიზ სულაქველიძის მაგალითიც, რომელსაც ძალიან ბევრი სკეპტიკურად უყურებდა, რა ეფექტი შემატა გუნდს საყრდენად მისმა გადაყვანამ — გაჩნდა ზუსტი პირველი პასი მოედნის სიღრმიდან, მოულოდნელი ჩართვები შეტევაში და საკმაოდ ლამაზი გოლებიც. ანუ, ახალკაცმა მოახერხა ის, რისი გაკეთებაც ვერ შეძლო „დინამოში“ მომუშავე ვერცერთმა მწვრთნელმა.



როცა ფეხბურთელი თავის თამაშს პოულობს, მაშინ ადვილია დისციპლინის დამყარებაც. ის ხდება მწვრთნელის თანამოაზრე და ხალისით ასრულებს მის დავალებას.

ეს დიდი შესავალი იმიტომ გავაკეთე, რომ თვალნათლივ მეჩვენებინა ის შეცდომები, რასაც ქართველის ნაკრების მწვრთნელები უშვებდნენ და რის გამოც ვერ ხდებოდა ჩვენი ნაკრების პოტენციალის რეალიზება. სამწუხაროდ, უკვე ვამჩნევ, რომ მეორდება ეს შეცდომები და არსებობს საშიშროება, რომ ეს იმავე შედეგამდე მიგვიყვანს, რაც წინა წლებში.

ჩემი მოსაზრება ერთი მარტივი მაგალითით შემიძლია დავასაბუთო — ყველა ხედავს, რომ დღევანდელ ნაკრებში მეკარესთან ერთად ყველაზე სუსტი ადგილი საყრდენი ნახევარმცველის პოზიციაა. აქედან გადის გოლების უმეტესობა ჩვენს კარში, ამის გამო ვერ ხერხდება ბურთის დაცვიდან დროული ამოტანა, პირველი პასის გაკეთება, მოწინააღმდეგის შეტევის პირველი ტალღის ჩაშლა, ალარაფერს ვამბობ შეტევაში ჩართვასა და შორიდან დარტყმებზე. მგონი, ყველა დამეთანხმება, რომ ამ პოზიციაზე არცერთი მოთამაშე არ პასუხობს მოთხოვნებს. არც მენთეშაშვილს, არც ოდიკაძეს და არც ხმალაძეს არ გააჩნია ამ პოზიციაზე სათამაშოდ საჭირო კვალიფიკაცია და ჩვევები. რაც შეეხება კობიაშვილს, იგი თავისი მაღალი სათამაშო კლასის მიუხედავად, აშკარად უცხოდ გრძნობს თავს ამ ამპლუაში. ის ხომ თავისი მონაცემებით აშკარად მარცხენა მცველია, რაც კარგად დაუმტკიცებია ადრე. ვკარგავთ შესანიშნავ მარცხენა მცველს და ვერაფერს ვიძენთ ცენტრალურ ზონაში. რა არის ეს? და ეს მაშინ, როცა გვყავს მალხაზ ასათიანი, უნივერსალი ფეხბურთელი, რომელსაც საყრდენი ნახევარმცველის პოზიციაზე თამაშით შეუძლია გააძლიეროს როგორც დაცვა, ასევე — შეტევა. განა ძნელი დასანახია, რომ მისი ამ ადგილზე გამოყენება ბევრად უფრო გაამრავალფეროვნებდა ტაქტიკურ მონახაზს?!

ვუერთდები იმათ, ვინც მოითხოვს ამისულაშვილის დაბრუნებას, რომელსაც არცერთი მატჩი არ ჩაუგდია ნაკრებში. განა შეიძლება ასეთი საიმედო მცველის დაკარგვა, რომელიც ერთ-ერთ საუკეთესოდ ითვლება რუსეთში? ამისულაშვილის დაბრუნებით შეიძლებოდა ხიზანიშვილთან წყვილში მისი ცენტრალურ მცველად გამოყენება, ხოლო კახა კალაძის მეორე საყრდენად აწევა, რომელსაც, სხვათა შორის, დაცვაში თამაშთან ერთად კარგი პირველი პასი და მწვავე რეიდების გაკეთების უნარიც აქვს. ამით საიმედოდ გადაიკეტებოდა დაცვის ცენტრალური ზონა და შეტევის უფრო ეფექტურად წარმოების საშუალებაც შეიქმნებოდა.

თუმცა დაცვის ორგანიზება თავდასხმიდან უნდა დაიწყოს. სამწუხაროა, მაგრამ ეს ანბანური ჭეშმარიტებაც დავიწყებულია ჩვენს ნაკრებში. ჩვენი გუნდი თავისუფლად აძლევს მოწინააღმდეგეს ბურთის დაცვიდან თავდასხმაში ატანის საშუალებას, რაც ძალიან დიდ უპირატესობას ანიჭებს მეტოქეს.

პრესინგის გამოყენება ხომ არამარტო დაცვის ორგანიზების, არამედ მწვავე კონტრიერიშების წამოწყების საშუალებაცაა. სივრცეების შეზღუდვა ხომ მეტოქის დაცვაში შეცდომის დაშვების და საგოლე მომენტის შექმნის დიდ ალბათობას ქმნის. მიუხედავად ამისა, საქართველოს ნაკრებში ბოლო წლებში მომუშავე არცერთ მწვრთნელს არ გამოუყენებია ეს მარტივი ტაქტიკური ხერხი. რა არის ეს, უმეცრება თუ სრული გულგრილობა?

არ არის საჭირო, იყო ფეხბურთის დიდი სპეციალისტი, რომ დაინახო ის შეცდომები, რომელსაც ფედერაციის მიერ დანიშნული მწვრთნელები უშვებდნენ და დღესაც უშვებენ. თუ მათ ელემენტარული ტაქტიკის გამოყენება და მოთამაშეთა სწორი ფუნქციების განსაზღვრა არ შეუძლიათ, მაშინ რატომ იწვევენ ნაკრებში?! რაში იხარჯება ამხელა თანხები, თანაც სახელმწიფო ბიუჯეტიდან?! დარწმუნებული ვარ, ამათზე ბევრად უკეთეს შედეგებს აჩვენებდნენ, თუნდაც თემურ ქეცბაია, გია გეგუჩაძე და გიორგი ჩიხრაძე. საბუთი? მათი გუნდების მიერ ნაჩვენები შედეგები ევროტურნირებზე. თავისი, არცთუ ისე ძლიერი კონტინგენტით მათ შეძლეს, ბევრად უფრო მაღალი კლასის გუნდებთან ეჩვენებინათ ტოლსწორი ფეხბურთი და სწორედ იმის ხარჯზე, რაც ასე აკლია ჩვენს ნაკრებს, ანუ ორგანიზაციის, სწორი ტაქტიკისა და დისციპლინის ხარჯზე. მაშ, რატომ უკეთებენ იგნორირებას ამ სპეციალისტებს, რატომ არ აძლევენ მათ, თუნდაც ასაკობრივ ნაკრებში მუშაობის საშუალებას?! ხომ არ დგას ვილაცის ან გარკვეული ჯგუფის ინტერესები?

ამ კითხვებს არ ვსვამ იმიტომ, რომ ვილაცის პირადი ინტერესი მაქვს, არც იმიტომ, რომ ვინმეს დადანაშაულებას ვისახავ მიზნად. უბრალოდ, მინდა ჩვენი გუნდის წარმატება და არ გამეორდეს წარსულის შეცდომები. ბოლოსდაბოლოს, რამდენჯერ უნდა დავაბიჯოთ ფეხი ერთიდაიგივე ნალმს?!

# ეს იმედის წაგებები იყო

## ლევან მჭედლიძე: პალერმოში სულ სხვა დონეა

დღეს რომ ქართულ ფეხბურთს არ ულხინს, არახალია, მაგრამ როგორ არ უნდა შეხედო მომავალს იმედით, როცა 17-18 წლის ბიჭები იტალიურ სერია A-სა თუ გერმანულ ბუნდესლიგაში გყავს: ახალი თაობის ქართველებიდან ერთ-ერთი საუკეთესო ლევან მჭედლიძეა — უნიჭიერესი ფორვარდი, რომელიც ჯერ 18 წლისაა, მაგრამ საქართველოს ნაკრებში დასამახსოვრებელი გოლი აქვს გატანილი და თამაშითაც ამიტკიცებს, რომ შოთა არველაძის შემცვლელი უახლოეს წლებში სწორედ ის უნდა იყოს.

მჭედლიძეს უკვე ბევრი გაუცდა ტრავმების გამო, მაგრამ როცა ჯანზეა, ეფექტურად თამაშობს — ასე იყო ირლანდიასთან და იტალიასთან მატჩებშიც. ის ჭკვიანი და მებრძოლია, ფორვარდისთვის საჭირო თვისებები უხვად აქვს და ჯერ გამოცდილება აკლია, რაც თავისთავად სათამაშო პრაქტიკას მოაქვს: ისე მოხდა, სერია A-ს წინა სეზონში ტანმაღალმა ქართველმა „ემპოლიში“ ერთხელაც ვერ ითამაშა, მაგრამ ამის დრო მალე დადგება, „პალერმომ“ „მჭედლო“ დიდი იმედებით აიყვანა...

გუშინ ლევანს იტალიაში რომ დავუკავშირდით, ახალ კლუბში ვარჯიში ხუთი წუთის დასრულებული ჰქონდა...




— „პალერმოში“ შენი გადასვლა აგვისტოს ბოლოს გადაწყდა, თუმც მერე სანაკრებო მატჩები იყო და გუნდს 11 სექტემბერს შეუერთდი. როგორ შეგხვდნენ, რა იმედებით?

— სიმართლე გითხრათ, ისეთი თბილი დახვედრა მომიწყვეს, არ ველოდი. ძალიან კარგი გარემოა „პალერმოში“, მეგობრული გუნდია და ეს პირველივე ვარჯიშზე ვიგრძენი. ახალწვეულისთვის ეს მთავარია — როგორი ატმოსფერო დახვდება...

— „პალერმოს“ რომელიმე ფეხბურთელს მანამდე იცნობდი?

— ნიკოლა რაჯის, რომელიც ჩემთან ერთად იყო „ემპოლიში“. კარგი ფეხბურთელია, იტალიის 21-წლამდელთა ნაკრების წევრია.

— შენს 99-ნომრიან მაისურას **M. LEVAN** აწერია. გვარი რატომ არ დააწერინე?

— იტალიელებს ცოტა უჭირთ ჩემი გვარის გამოთქმა, ჩელიძეს მეძახდნენ და იმიტომ... როცა მომინდება და იტალიელებიც სწორად გამოთქვამენ ჩემს გვარს, შემიძლია, წარწერა შევაცვლევინო.

— იტალიური ენა კარგად იცი?

— არ მიჭირს. საფეხბურთო ენაზე ჩვეულებრივ ვლაპარაკობ.

— პირველ ტურში „უდინეზესთან“ წაგების მერე „პალერმოს“ მწვრთნელი შეეცვალა. ახალი თავკაცი დავიდე ბალარდინი როგორი თვალით გიყურებს?

— მამჩნევებს, ყველაფერი შენზეა დამოკიდებულიო. ვატყობ, მალე მომიწევს თამაში. დებიუტს მოუთმენლად ველოდები.

— ჯერ ახალგაზრდა ხარ და, ისე ხომ არ მოხდება, როგორც „ემპოლიში“ იყო — ახალგაზრდულ გუნდში ხომ არ გათამაშებენ?

— არა, ამაზე ლაპარაკიც არ ყოფილა. აქ ძირითად გუნდში სათამაშოდ მოვედი.

— ისე, „პალერმოს“ თავდამსხმელი ფაბრიციო მიკოლი დაშავდა და ეს შენი შანსია...

— მიკოლის დამტვრევა გამიხარდა-მეთქი, ამას როგორ ვიტყვი. შესაძლოა, ამან უფრო გამიზარდოს თამაშის შანსი, მაგრამ ისიცაა, რომ მოკოლი უფრო სიღრმიდან უტევს, სხვა სტილის თავდამსხმელია.

— და კონკრეტულად ცენტრფორვარდის პოზიციაზე ვინ არის შენი კონკურენტი?

— ძირითადში ედსონ კავანი თამაშობს-ხოლმე, თუმც არც ისაა ტიპიური ცენტრფორვარდი. გამოკვეთილი ცენტრალური თავდამსხმელი მხოლოდ ორნი ვართ: მე და ჩემთან ერთად ბოლოს შეძენილი ნიკოლა სუჩი.

— შარშანდელ სეზონს თუ არ ჩავთვლით, „პალერმო“ იტალიაში საუეფასთასო გუნდია, ცხრილის ზედა ნაწილშია ხოლმე. წლეულს რა მიზნები აქვთ?

— არ ვაჭარბებ, „პალერმო“ იტალიაში ერთ-ერთი საუკეთესოა თავისი ორგანიზებულობით, პირობებით, ყოველ შემთხვევაში, „ემპოლისთან“ შედარებაც არაა... გრანდების მერე „პალერმოც“ მოდის — ჩვენ, „ფიორენტინა“ და „ლაციო“... გეცოდინებათ, წინა ტურში „რომას“ 3:1 მოუგო „პალერმომ“. მართალია, რომაელები ვერ არიან ფორმაში, მაგრამ ჩვენებმა ძალიან კარგად ითამაშეს. საწყის 15 წუთში მაგრად გვაჯობეს, ბურთი სულ მათ ჰქონდათ, მაგრამ მერე ყველაფერი შეტრიალდა.

— ახლა ნაკრებზეც: რას იტყვი, რა იყო ირლანდიასთან და იტალიასთან წაგებების მთავარი მიზეზი?

— სამწუხაროდ, ირლანდიასთან ვერ გადავარჩინეთ თამაში, არადა, თითქოს წასაგები არ იყო. თავიდან ბევრი შეცდომა გვქონდა, უპირატესობა ირლანდიელებისა იყო და მართალია, მეორე ტაიმში გავათანაბრეთ თამაში, უკვე გვიანი აღმოჩნდა. რაც შეეხება იტალიასთან წაგებას, დანიელე დე როსიმ ორჯერ დაარტყა და ორივე გაიტანა. ესაა კლასი. იტალია საქართველოზე ბევრად ძლიერია, ამას თქმა რად უნდა, მაგრამ მათთან თამაშით კმაყოფილი ვარ. შედეგით კი, ცხადია, არა — წაგება წაგებაა.

— იტალიასთან რატომ შეგცვალა ექტორ კუპერმა? დაღლილობის ბრალი ხომ არ იყო ან რამე ხომ არ იტკინე?

— არც დავღლილვარ და არც მიტკენია რამე. მწვრთნელმა ასე ჩათვალა საჭიროდ.

— ბევრის აზრით, სჯობდა, არ შეეცვალე, თამაში წაგივიდა...

— ვერ გეტყვით... ამ დონის მწვრთნელია და უკეთესად დაინახა, რა იყო შესაცვლელი და რა არა. ჩემი შეცვლის მერეც კარგად ითამაშა გუნდმა, უკეთესადაც კი, ვიდრე მინდორზე ჩემი ყოფნისას.

— ნაკრების ფეხბურთელებს ვისაც ვესაუბრეთ, ყველა ძალიან აქებს კუპერს...

— ის ერთ-ერთი საუკეთესო მწვრთნელია მსოფლიოში. ტაქტიკურად ისე კარგად მოგვამზადა, რომ ყველამ ვიცოდით ჩვენ-ჩვენი გასაკეთებელი საქმე. ეს დაეტყო კიდეც თამაშს. სამწუხაროდ, გოლების გატანა გვიჭირს...

— ესე იგი, იმედი გაქვს, რომ ოქტომბრის მატჩებში საქართველოს ნაკრები უკეთესი იქნება, ვიდრე ირლანდია-იტალიასთან იყო?

— დიახ. ნამდვილად ასე იქნება. ჩვენი დროც მოვა, კვიპროსთან და ბულგარეთთან უნდა მოვიგოთ და გულშემატკივარი გავახაროთ. გასულმა ორმა მატჩმა, წაგების მიუხედავად, ამის იმედი მომცა.

**ილია ნანობაშვილი**

# უფეხბურთოდ დავიტანჯე

## ოთარ მარცვალაძე ნაკრებიდან მოიკითხეს



სავარაუდოდ, საქართველოს ნაკრების საოქტომბრო მატჩების სიას ერთი ფორვარდი შეემატება და ეს ოთარ მარცვალაძე იქნება. 23 წლის მარცვალაძემ ნაკრებში ბოლოს შარშან ნოემბერში, ლიტვასთან ითამაშა, იქიდან მოყოლებული სექტემბრამდე კი უნაკრებოდ კი არა, სულაც უფეხბურთოდ იყო — ჯერ მუხლის ოპერაცია გაიკეთა, რომელიც შემდეგ გაურთულდა, ზაფხულში კი ავარიაში მოჰყვა.

...მაგრამ ოთარმა სულ ორი კვირაა, რაც ვარჯიში დაიწყო, კიევის „დინამო 2"-ში სამი მატჩი ჩაატარა და სამივეში გოლი გაიტანა. „დინამო 2“-ის თავკაცმა იური კალიტვინცევმა სწრაფ ქართველს გარჯა შეუქო, ის ჯერ კიდევ არაა ფორმაში, მაგრამ ხომ ხედავ, როგორ თამაშობსო. მარცვალაძეს გუშინ კიევში დავუკავშირდით...

— ძალიან ძნელი იყო, ათი თვე უფეხბურთოდ დავიტანჯე. საბედნიეროდ, ყველაფერმა ცუდმა გაიარა და ვთამაშობ.

— ამ ნავსიან პერიოდზე იქნებ უფრო ვრცლად მოყვე...

— დეკემბერში „ხარკოვში“ გადავდიოდი, მაგრამ ტრავმა მივიღე და აღარ შედგა ტრანსფერი. ოპერაცია გავიკეთე მუხლზე და მკურნალობამ დიდი დრო წაიღო, ფაქტობრივად, სეზონის ბოლომდე. მერე ზაფხული დადგა და ვერსად ვითამაშებდი, თან ავარიაში მოვყევი, აი, ასე დათარსული ვიყავი...

— ასეთი ხანგრძლივი უქმობის შემდეგ ფრთხილად თამაშობენ ხოლმე. შენც ასე ხარ?

— ვარჯიში რომ დავიწყე, ვფრთხილობდი, ახლა კი ნელ-ნელა შევდივარ სასურველ ფორმაში.

— სამი მატჩი „დინამო 2“-ში და სამი გოლი...

— იმედია, ცოტა ხანში უფრო ავთამაშდები. გოლებმა ძალიან გამახარა, მაგრამ ჯერ ცოტა ფიზიკურად მიჭირს.

— სამწუხაროდ, კიევის „დინამოს“ ძირითად გუნდში ზამთრამდე ვერ ითამაშებ...

— ასეა. არც უკრაინის ჩემპიონატში და არც ჩემპიონთა ლიგაში უფლება არ მაქვს, რადგან განაცხადში არ ვარ. ზამთრამდე თუ თავს გამოვიჩენ, გადამიყვანენ პირველ გუნდში.

— როგორც გავიგეთ, საქართველოს ნაკრებიდან დაგიკავშირდნენ. რაზე გესაუბრნენ?

— ჩემი ჯანმრთელობა და მზადყოფნა მოიკითხეს. ძალიან მომენატრა ნაკრებში თამაში და ნეტავ, გამომიძახონ ოქტომბრის მატჩისთვის.

— რუსეთ-საქართველოს ომის პერიოდში კიევში იყავი?

— დიახ. თანაგუნდელებიც და მთლიანად, უკრაინელი მოსახლეობაც ძალიან თბილად გვექცეოდა, ყველა მხარს გვიჭერდა ქართველებს.

**ილია ნანობაშვილი**

# ფერგის მორიგი რისხვა
## მოწინააღმდეგე სუსტი სჯობს!

**პრემიერლიგა** არ მოგაწყენს: „მანჩესტერ იუნაიტედის“ მწვრთნელი სერ ალექს ფერგიუსონი განრისხებულია. მისი რისხვის ობიექტი ინგლისელ მსაჯთა კორპუსი და ამ კორპუსის შეფი კით ჰეკეტი გახლავთ. მიზეზი... სახალისოც ის არის, რომ ამ აღშფოთების მიზეზი „მანჩესტერ იუნაიტედს“ მხოლოდ ირიბად ეხება. სერ ალექსი აღშფოთებულია, რადგან „მანჩესტერ სიტისა“ და „ჩელსის“ შეხვედრაში გაძევებული ლონდონელი კაპიტანი ჯონ ტერი გაძევების გამო დისკვალიფიკაციას არ მოიხდის და... შესაბამისად, შაბათს ფერგიუსონის გუნდს ჩვეულებრივ დაუპირისპირდება. მატჩი, რომლის მსვლელობისასაც ტერი მოედნიდან გააძევეს, შაბათს გაიმართა. ლონდონელებმა „სიტის“ 3:1 მოუგეს. მსაჯმა ჰელსიმ „ჩელსის“ კაპიტანი მოედნის ცენტრში ჟოს წაქცევისთვის გააძევა. უნდა ითქვას, რომ იმ ეპიზოდში არბიტრს არ უყოყმანია, თუმცა...



„ჰეკეტმა მსაჯ მარკ ჰელსის ბარათის გაუქმება სთხოვა, მან კი იუარა და ახლა დასჯილია, მომდევნო ტურში მეორე ლიგის თამაშზე გააგზავნეს — ბრაზობს „იუნაიტედის“ თავკაცი — საერთოდ, არ მესმის, როგორ ხდება ასეთი რამეები. დარწმუნებული ვარ, ტერის ადგილზე „მანჩესტერ იუნაიტედის“ მოთამაშე რომ ყოფილიყო, ჰეკეტი დისკვალიფიკაციას არ გააუქმებდა. რამდენჯერ შეიძლება, ერთი და იგივე განმეორდეს?!“

ერთი სიტყვით, მატჩის შემდეგ მოვლენები ასე განვითარდა: „ჩელსიმ“ ფეხბურთის ასოციაციაში იჩივლა, ჩემი ფეხბურთელი გასაძევებელი არ იყოო. დაინიშნა გარჩევა. უნდა ითქვას, რომ იმ კომისიაში, რომელმაც ეპიზოდი განიხილა, ფერგიუსონის მიერ ასე გაკრიტიკებული კით ჰეკეტი არ მონაწილეობდა, მაგრამ, ასე იყო თუ ისე, კომისიამ ვიდეოჩანაწერი წინ და უკან ატრიალა და მსაჯის წინააღმდეგობის მიუხედავად, ლონდონელი მოთამაშე გაამართლა.

რაც შეეხება ურჩ არბიტრს, მან შაბათს პრემიერლიგის ნაცვლად მეორე ლიგის მატჩი, „ჩესტერი“ — „შრუსბერი“ უნდა განსაჯოს.

**პაპუნა ძიდია**

# მანჩესტერელი კაცის ზუზუნება




**ალექს ფერგიუსონმა** „მანჩესტერ იუნაიტედის“ ფანებს კრიშტიანუ რონალდუს პატიებისკენ მოუწოდა. რატომ წამოიწია ამ დღეებში რონალდუს პატიმების თემამ, გასაგებია: გუშინ „იუნაიტედმა“ ჩემპიონთა ლიგის ახალ სეზონში პირველი თამაში ჩაატარა, ამ უქმეებზე კი პრემიერლიგაში დიდი მატჩია: „ჩელსი“ — „მანჩესტერ იუნაიტედი“, რაც იმას ნიშნავს, რომ კრიშტიანუ რონალდუ მანჩესტერელთა გუნდისთვის დასვენებული, ნაპატიები და თავდაუზოგავად მებრძოლი უფრო საჭიროა, ვიდრე ფანებთან საქმის გარჩევით აღელვებული და დაღლილი.

რაც შეეხება კითხვას, რას ერჩის „ოლდ ტრეფორდის“ საზოგადოება პორტუგალიელ ვარსკვლავს, ვფიქრობ, „სარბიელის“ მკითხველს არ გაუჩნდება, რადგან გასული ზაფხულის ისტორია მისთვის კარგად არის ცნობილი — რონალდუ კბილითა და ფრჩხილით „რეალში“ გადასასვლელად იბრძოდა.

„ვფიქრობ, ფანებს სიტუაცია კარგად ესმით — თქვა ფერგიუსონმა — ჩვენ საქმე გვაქვს ახალგაზრდა ბიჭთან, რომელიც დიდძალი ფულის დაპირებით მოაჯადოვეს, მაგრამ მას მერე, რაც ჩვენს პოზიციასაც გაეცნო, დამშვიდდა და გასაოცარი მონდომებით ვარჯიშობს. ის ყოველი საღამოს 5 საათამდე საწვრთნელ ცენტრშია.

თავად განსაჯეთ, მან კოჭის ოპერაციის შემდეგ აღდგენითი პერიოდი წინაწარ დათქმულზე მოკლე დროში, საოცარი მოთმინებითა და სიმშვიდით გაიარა“.

შემდეგ, ფერგიუსონმა რონალდუს მოედნისგარეთა ქცევაზეც ილაპარაკა და აღნიშნა, რომ პორტუგალიელი აქაც სამაგალითოა. არადა, სულ რაღაც ერთი თვის წინ ის ხმამაღლა აცხადებდა, რომ „რეალი“ მისი ოცნების გუნდია და მხოლოდ იქ წარმოუდგენია მომავალში საკუთარი თავი.

ფერგიუსონი: „ჩვენ მისთვის ჭოჭინაში სათამაშოები არ ჩაგვიყრია. ის უბრალოდ რეალობას გაეცნო და შეეგუა, რითაც ბედნიერი გავხლავართ. ნუ დაგვავიწყდება, რომ ჩვენ მართლა ძალიან ძლიერ ფეხბურთელზე ვლაპარაკობთ“.

მაგრამ, მანჩესტერი მხოლოდ ფერგიუსონი როდია, იქ სხვა ხალხიც ცხოვრობს, კერძოდ კი, „მანჩესტერ იუნაიტედის“ მხარდამჭერთა გაერთიანების წარმომადგენელი სტიუარტ პერიში, რომელიც ფიქრობს, რომ გასულ სეზონში 42 გოლის გამტან ვარსკვლავს ხალხის სიყვარულის დასაბრუნებლად ფეხის ერთი მოქნევა არ ეყოფა. ბატონი პერიში ვარაუდობს, რომ ამ სეზონში „ოლდ ტრეფორდის“ ტრიბუნებიდან რონალდუზე სიმღერებს ვეღარ მოვისმენთ. გასულ სეზონში ხშირად ისმოდა სიმღერა „ვივა რონალდუ“, რომელიც „ვივა ტერით“ შეიცვალა. ჯონ ტერი რა შუაშია? იოლი მისახვედრია: ჩელსელი ტერი ის კაცია, რომელმაც გასული სეზონის ბოლოს, ჩემპიონთა ლიგის ფინალში პენალტი ააცილა და ამით „მანჩესტერ იუნაიტედს“ თასი მოაპოვებინა.

„ეჭვი არ მეპარება, რომ რონალდუს ამ სეზონში შერეული რეაქცია ელის — ამბობს პერიში — გასულ ტურში „ლივერპულთან“ თამაშს პაბში ვუყურე, სტადიონზე არ ვყოფილვარ და მინდა გითხრათ, რომ იქ, პაბში, როდესაც ტელეეკრანზე რონალდუ გამოჩნდებოდა, ხალხის ერთი ნაწილი „ბუუუ“-ს იძახდა, თუმცა, მეორე მხრივ, არც ამ „ბუუ“-თი გადაუმლაშებია ვინმეს, რადგან „იუნაიტედის“ ფანებს საკუთარი ფეხბურთელების ჩაგვრა არ სჩვევიათ. მოკლედ, რონალდუს ნამდვილი დიდი ზიზღით არავინ შეიზიზღებს, მაგრამ დანამდვილებით შემიძლია გითხრათ, რომ გასულ სეზონში, უკლებლივ ყოველ შეხვედრაში ტრიბუნებზე „რონალდუს სიმღერებს“ მღეროდნენ, ამ სეზონში კი, თავისი ამხანაგური მატჩების ჩათვლით, ასეთი რამ ერთხელაც არ მომისმენია. ერთი სიტყვით, ფანები მას, ალბათ, ჭკუას ასწავლიან და შემდეგ აპატიებენ. მეეჭვება, რომ შარშანდელი დამოკიდებულება და სიყვარული წარსულს ჩაბარდა“.

**პაპუნა ძიდია**

## უეფას თასი 2008-09
## I ეტაპი. I მატჩები

მილანი (იტალია) — ციურიხი (შვეიცარია)
ტიმიშოარა (რუმინეთი) — პარტიზანი (სერბეთი)
ბანიკი (ჩეხეთი) — სპარტაკი (რუსეთი)
მეტალისტი (უკრაინა) — ბეშიქთაში (თურქეთი)
პორტსმუთი (ინგლისი) — გიმარაეში (პორტუგალია)
ქაისერისფორი (თურქეთი) — პსჟ (საფრანგეთი)
სევილია (ესპანეთი) — ზალცბურგი (ავსტრია)
ვოლფსბურგი (გერმანია) — რაპიდი (რუმინეთი)
სამპდორია (იტალია) — კაუნასი (ლიტვა)
მარიტიმუ (პორტუგალია) — ვალენსია (ესპანეთი)
დინამო (ზაგრები, ხორვატია) — სპარტა (ჩეხეთი)
მანჩესტერ სიტი (ინგლისი) — ომონია (კვიპროსი)
იანგ ბოისი (შვეიცარია) — ბრიუგე (ბელგია)
ნანსი (საფრანგეთი) — მოზერუელი (შოტლანდია)
ევერტონი (ინგლისი) — სტანდარდი (ბელგია)
ნაპოლი (იტალია) — ბენფიკა (პორტუგალია)
ბელინცონა (შვეიცარია) — გალათასარაი (თურქეთი)
ნაიმეგენი (ჰოლანდია) — დინამო (ბუქარესტი, რუმინეთი)
რასინგი (ესპანეთი) — ჰონკა (ფინეთი)
ლიტექსი (ბულგარეთი) — ასტონ ვილა (ინგლისი)
აუსტრია (ავსტრია) — ლეხი (პოლონეთი)
სეტუბალი (პორტუგალია) — ჰერენვენი (ჰოლანდია)
ბრანი (ნორვეგია) — დეპორტივო (ესპანეთი)
სლავია (ჩეხეთი) — ვასლუი (რუმინეთი)
სლავენი (ხორვატია) — ცსკა (რუსეთი)
ბრონდბიუ (დანია) — რუსენბორგი (ნორვეგია)
ჩერნო მორე (ბულგარეთი) — შტუტგარტი (გერმანია)
რენი (საფრანგეთი) — ტვენტე (ჰოლანდია)
აიაქსი (ჰოლანდია) — ბორაცი (სერბეთი)
ტოტენჰემი (ინგლისი) — ვისლა (პოლონეთი)
კოპენჰაგენი (დანია) — მოსკვა (რუსეთი)
ჟილინა (სლოვაკეთი) — ლევსკი (ბულგარეთი)
დორტმუნდი (გერმანია) — უდინეზე (იტალია)
ბრაგა (პორტუგალია) — არტმედია (სლოვაკეთი)
ფეიენოორდი (ჰოლანდია) — კალმარი (შვედეთი)
ჰამბურგი (გერმანია) — უნირეა (რუმინეთი)
ჰაპოელი (ისრაელი) — სენტ-ეტიენი (საფრანგეთი)

# ადრიანო გალიანის ფსიქოლოგიის არ სჯერა

**რონალდინიო,** კაკა და შევჩენკო — ეს სახელოვანი ბიჭები უეფას თასისთვის ბრძოლას დღეს დაიწყებენ. ჩემპიონთა თასის შვიდგზის მფლობელი და ამჟამად სერია A-ს ბოლოსწინა ადგილზე მყოფი „მილანი“ „ციურიხს“ უმასპინძლებს. კარლო ანჩელოტის გუნდმა ჩემპიონატი სამწუხაროდ, ორი მარცხით დაიწყო („ბოლონიასთან“ და „ჯენოასთან“), მაგრამ ადრიანო გალიანიმ თქვა, რომ მწვრთნელს მოხსნა არ ემუქრება „არც მე და არც კლუბის პატრონ სილვიო ბერლუსკონის, ანჩელოტის განთავისუფლება აზრადაც არ მოგვსვლია. არ მჯერა, რომ გუნდს ფსიქოლოგიური პრობლემები აქვს“ — განაცხადა ვიცე-პრეზიდენტმა „მილანს“ ანდრეა პირლო და ჯენარო გატუზო დააკლდება.

„ციურიხმა“ „ვადუცი“ სტუმრად 7:1 გაანადგურა და ჩემპიონატში მეორე ადგილზეა.

ბირმინგემის „ასტონ ვილამ“ ორშაბათს „ტოტენჰემს“ სტუმრად 2:1 მოუგო, დღეს კი ლოვეჩში „ლიტექსს“ ჩააკითხავს იონ კარეუს გარეშე, რომელმაც ორშაბათის მატჩში ტრავმა მიიღო. მის ნაცვლად მარლონ ჰერვუდი ითამაშებს.

„მანჩესტერ სიტის“ „ომონიასთან“ ნახევარმცველი მარტინ პეტროვი ვერ დაეხმარება, მაიკლ ჯონსონის თამაში კი საეჭვოა. ძირითად შემადგენლობაში იქნება პრემიერლიგის უძვირფასესი ფეხბურთელი რობინიო.

„ევერტონის“ ავსტრალიელმა ლიდერმა ტიმ კეჰილმა ტრავმა მოიშუშა და შაბათს „სტოკთან“ გუნდმა მისი გოლით მოიგო. დევიდ მოიესი კეჰილს დღეს ლიეჟის „სტანდართანაც“ ათამაშებს.

„დორტმუნდის“ დირექტორმა მიხაელ ცორკმა გუნდი „უდინეზესთან“ შეხვედრის წინ გააფრთხილა: „ბოლო წლებში „უდინეზე“ სერია A-ში მუდმივად ზედა ათეულშია და ამიტომ მეტოქე მთელი სერიოზულობით უნდა მივიღოთ. მათი შეუფასებლობა ძვირად დაგვიჯდება. უდინელთა დამარცხება და უეფას თასის ჯგუფურ ეტაპზე მოხვედრა ფინანსური თვალსაზრისით ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია“. „შალკესთან“ შეცვლაზე შესული და დუბლის შემსრულებელი ალექსანდერ ფრაი ამჯერად ალბათ სასტარტოში გამოჩნდება.

„ვალენსიას“ პორტუგალიაში „მარიტიმუსთან“ დავიდ სილვა ვერ დაეხმარება, რომელსაც ფეხზე ოპერაციას გაუკეთებენ და ახალ წლამდე დასვენება მოუწევს.

„სევილიას“ კი, ავსტრიულ „ზალცბურგთან“ ნახევარმცველი ალდო დუშერი დისკვალიფიკაციის გამო დააკლდება. სამი წლის წინ, „დეპორტივოში“ თამაშისას, არგენტინელი „მარსელთან“ ინტერტოტოს მატჩში გააძევეს და უეფამ ის წითელი ბარათი ახლა გაუხსენა.

მოსკოვის „სპარტაკს“ კი „ბანიკთან“ შეხვედრაში მიქაელ ლაუდრუპი უთავკაცებს. „ბრონდბიუს“ და „ხეტაფეს“ ყოფილმა მწვრთნელმა რუსულ კლუბთან წელიწადნახევრიანი კონტრაქტი გააფორმა. სადებიუტო მატჩში ლაუდრუპის „სპარტაკი“ გასულ შაბათს „მოსკვასთან“ 1:2 დამარცხდა.

ევროთასებზე სამწვრთნელო დებიუტი ექნება მარკო ვან ბასტენს. მისი „აიაქსი“ ბელგრადში „ბორაცს“ ესტუმრება.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ჩემპიონთა ლიგა 2008-2009. ჯგუფური ეტაპი. I ტური

## კულიომ რომა შეარცხვინა

### A ჯგუფი

**რომა 1:2 კლუჟი**

1:0 პანუჩი (17), 1:1, 1:2 კულიო (27, 49)
რომა: დონი, სისინიუ, კასეტი, პანუჩი (ლორია 47), რიისე (ტოტი 52), ტადეი (მონტელა 77), დე როსი, აკვილანი, ბაპტიშტა, ტონეტო, ვუჩინიჩი
მწვრთნელი: ლუჩანო სპალეტი
კლუჟი: სტანჩოიუ, ტონი, კადუ, დე სოუზა, პერეირა, დუბარბიერი (პანინი 88), დანი, მურეშანი, ტრიკე (პერალტა 67), კულიო, კონე
მწვრთნელი: მაურიციო ტრომბეტა
გაფრთხილება: პერეირა, სისინიუ, პერალტა
მსაჯი: იური ბასკაკოვი (რუსეთი)
25 000 მაყურებელი

**ჩელსი 4:0 ბორდო**

1:0 ლამპარდი (14), 2:0 ჯო კოული (30), 3:0 მალუდა (82), 4:0 ანელკა (90)
ჩელსი: ჩეხი, ბოსინგვა, კარვალიუ, ტერი, ეშლი კოული, დეკუ (ბალაკი 61), მიკელი, ლამპარდი, ჯო კოული (ბელეტი 74), მალუდა (კალუ 84), ანელკა
მწვრთნელი: ლუიშ ფელიპე სკოლარი
ბორდო: რამე, ჟურიეტი, დიავარა, პლანიუ, ფერნანდუ (დიუკასი 74), პლასენტე, გუფრანი (ობერტანი 66), დიარა, გურკუფი, ვენდელი, შამახი (კავენაგი 65)
მწვრთნელი: ლორან ბლანი
გაფრთხილება: დეკუ
მსაჯი: პიტერ ვინკი (ჰოლანდია)
39 635 მაყურებელი

**ჩემპიონთა** ლიგაში დებიუტიც ასეთი უნდა, პატარა „კლუჟმა" „სტადიო ოლიმპიკოზე" „რომა" დაამარცხა და დიდი სენსაცია გამოაცხო.

არადა, თამაში ისე დაიწყო, ვერავინ იფიქრებდა, რომ რუმინელებს თუნდაც მიზერული შანსი ექნებოდათ. მირკო ვუჩინიჩმა დებიუტშივე ორჯერ სახიფათოდ დაარტყა და აქედან ერთხელ „კლუჟი" ძელმა იხსნა.

ანგარიში მე-17 წუთზე გაიხსნა, როცა დანიელე დე როსის ბრწყინვალე ჩაწოდებულს კრისტიან პანუჩი დაუხვდა. თუმცა სტუმრები ერთი წუთითაც არ დაბნეულან, თავის თამაშსს აგრძელებდნენ და ათ წუთში გაათანაბრეს კიდეც — ხუან კულიომ ეუგენ ტრიკესთან ჩინებულად გაითამაშა ბურთი, როდრიგო ტადეი ჩამოიცილა და დონისაც არ დაუტოვა შანსი. მყისვე რუმინელებმა კიდევ ერთი მწვავე მომენტი შექმნეს, მაგრამ შესვენებამდე აღარაფერი შეცვლილა.

მეორე ტაიმი ახალი დაწყებული იყო, როცა მეორე გოლი გავიდა. ტრიკეს ჩაწოდებისას, მარკო კასეტიმ ბურთი კონემდე არ მიუშვა, მაგრამ კულიო იქვე იყო და არგენტინელმა დუბლი გაიფორმა.

ლუჩანო სპალეტიმ მინდორზე ფრანჩესკო ტოტი შეუშვა, ვინც ბოლომდე მწყობრში არ არის და ეს ეტყობოდა კიდეც. ასევე ვეტერანი ვინჩენცო მონტელა. მათაც და დე როსისაც შეეძლოთ გატანა, მაგრამ... მომენტები „კლუჟსაც" ჰქონდა, ერთხელ სიქსტო პერალტას დარტყმული ხარიხასაც კი მოხვდა.

„ისეთ შედეგს მივაღწიეთ, რომლისაც არავის სჯეროდა. ეს სამი ქულა ნამდვილად დავიმსახურეთ. ძალიან მიხარია, მაგრამ მადლობა იოან ანდონესაც უნდა გადავუხადოთ, რომელმაც კლუბი რუმინეთის ჩემპიონობამდე მიიყვანა. მიუხედავად ყველაფრისა, რეალისტებად უნდა დავრჩეთ, ჩვენი მიზანი ისევ მესამე ადგილზე გასვლა და უეფას თასის საგზურის მოპოვებაა. ახლა ბევრს ვიმუშავებთ, რათა „ჩელსისთან" შეხვედრას კარგ ფორმაში შევხვდეთ. „რომას" კი სივრცე არ მივეცით და მეტოქემ ამიტომ ვერ ითამაშა ჩვეული ფეხბურთი" — თქვა „კლუჟის" მწვრთნელმა მაურიციო ტრომბეტამ.

ლუჩანო სპალეტი: „რაღაცები გამოგვივიდა, მაგრამ შეცდომები და პრობლემები უფრო მეტი იყო. „კლუჟმა" კარგად ითამაშა. თუმცა მეორე გოლისას რუმინელებს გაუმართლათ, ჩვენ კი გავტყდით. თამაში ფისქოლოგიური და ფიზიკური თვალსაზრისით უნდა გამოვასწოროთ. თავიდანვე ვამბობდით, რომ ჩვენი ჯგუფის მთავარი ფავორიტი „ჩელსია". ახლა მხოლოდ საკუთარ მატჩებზე უნდა ვიყოთ კონცენტრირებულნი და შეცდომებზე სწავლით, გამოვასწოროთ ვითარება".

„გლადიატორებმა" სეზონი მართლაც საშინლად დაიწყეს — სერია A-ს პირველ ორ ტურში მხოლოდ 1 ქულა და ახლა მარცხი „კლუჟთან". იტალიური პრესის ცნობით, კლუბის პრეზიდენტი როზელა სენსი ძალიან გაცხარებულა და ფეხბურთელებთან ძალიან მკაცრად უსაუბრია.

ლონდონის „ჩელსიმ" ქომაგებს მოლოდინი არ გაუცრუა, მეტიც, ლუიშ ფელიპე სკოლარის შეგირდებმა გადაურბინეს „ბორდოს" და ჯგუფის ფავორიტის სტატუსი განიმტკიცეს.

„ჩელსი" სრულ უპირატესობას ფლობდა და მომენტების აღწერა


ხუან კულიომ (მარცხნივ) და მისმა „კლუჟმა" სუპერსენსაცია შექმნეს

შორს წაგვიყვანს. გოლებზე კი ღირს ორი სიტყვის თქმა.

ჯო კოულის, დეკუსა და ბოსინგვას აქტიურობას მე-14 წუთზე ფრენკ ლამპარდის მშვენიერი გოლი მოჰყვა. 30-ეზე, დეკუს ჩაწოდებული კუთხურის შემდეგ, ტანჩია ჯო კოულმა თავით შეაგდო. მესამე ფლორან მალუდამ გაიტანა ჯონ ობი მიკელის ბრწყინვალე თამაშისა და ლამპარდის ჩინებული ქუსლურის მერე. წერტილი კი ნიკოლა ანელკამ დასვა, ფრანგმა დამატებაზე ივარგა.

ლუიშ ფელიპე სკოლარი: „ძალიან კარგად დავიწყეთ. არადა, არასოდეს იცი, რა შეიძლება მოხდეს ფეხბურთში. მაგალითად „რომასა" და „კლუჟის" მატჩის სენსაციური ანგარიში ავიღოთ. კმაყოფილი ვარ, მაგრამ მეორე ტაიმის ნახევარსაათიან მონაკვეთში შეცდომებს ვუშვებდით და თამაშს ის ვერ ვაკონტროლებდით, როგორც გვინდოდა. „ბორდოზე" ძლიერ მეტოქეს ამის გამო შეიძლება დავესაჯეთ. ამიტომ, ხარვეზები უნდა გამოვასწოროთ. შეხვედრის ბოლო ნაწილი ჩინებულად ჩავატარეთ. ახლა „მანჩესტერთან" მნიშვნელოვან მატჩზე ვფიქრობთ, მაგრამ აქამდე ჯერ კიდევ არის დრო და სათანადოდ მოვემზადებით".

„ანგარიში ყველაფერზე მეტყველებს. „ჩელსი" ჩვენთვის ზედმეტად ძლიერი გამოდგა. ლონდონელებმა კიდევ ერთხელ დაამტკიცეს, რომ ბრწყინვალე გუნდი ჰყავთ. აგრესია გვაკლდა და მეტოქეს ზედმეტად ვუფრთხოდით, პირველ რიგში სწორედ ეს უნდა გამოვასწოროთ, მომავალი მატჩებისთვის სხვანაირად უნდა განვეწყოთ" — თქვა ჟირონდელთა თავკაცმა ლორან ბლანმა.

**გიორგი ძაძამიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩელსი | 1 | 1 | 0 | 0 | 4:0 | 3 |
| კლუჟი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| რომა | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |
| ბორდო | 1 | 0 | 0 | 1 | 0:4 | 0 |

## საოცარი იბრაჰიმოვიჩი

### B ჯგუფი

**პანათინაიკოსი 0:2 ინტერი**

0:1 მანსინი (27), 0:2 ადრიანო (85)
პანათინაიკოსი: გალინოვიჩი, ვინტრა, სიმაუ, გუმასი, ნილსონი (ხრისტოდულოპულოსი 72), კლეიტონი, მუნი (სოუზა 82), ჟილბერტუ სილვა, მატოსი, კარაგუნისი (ივანშიცი 36), სალპინგიდისი
მწვრთნელი: ჰენკ ტენ კატე
ინტერი: ჟულიო სეზარი, მაიკონი, კორდობა, მატერაცი, მაქსველი, კამბიასო, ვიეირა (მუნტარი 63), ძანეტი, მანსინი (ადრიანო 82), იბრაჰიმოვიჩი, კუარეშმა (ფიგუ 62)
მწვრთნელი: ჟოზე მაურინიუ
გაფრთხილება: მატერაცი, კლეიტონი, მაიკონი
მსაჯი: მანუელ მეხუტო გონსალესი (ესპანეთი)
66 000 მაყურებელი

**ვერდერი 0:0 ანორთოსისი**

ვერდერი: ვიზე, ფრიცი, მერტეზაკერი, ნალდო, ბოონიში, იენსენი, ფრინგსი, დიეგო, იოზილი, როსენბერგი (სანოგო 57), პისარო (ალმეიდა 65)
მწვრთნელი: თომას შაფი
ანორთოსისი: ბექაი, კონსტანტინუ, კაცავაკისი, ნიკოლაუ, ლეივაკაბესი, კოშტა (მოჰამედი 46), ბარდონი (წიტაიშვილი 70), დელასი, ლაბანი, სავიო, სოსინი (პანაგი 58)
მწვრთნელი: თემურ ქეცბაია
გაფრთხილება: ფრინგსი, ლაბანი, იოზილი, როსენბერგი, მოჰამედი, ალმეიდა
მსაჯი: კრეიგ ტომსონი (შოტლანდია)
40 000 მაყურებელი

**ჟოზე მაურინიუს** ჩემპიონთა ლიგაში დაბრუნება წარმატებული გამოდგა. „ნერაძურიმ" საბერძნეთიდან სამი ქულა წამოიღო, რაც ყოველთვის რთულია.

მილანელებმა აქტიურად დაიწყეს, საგოლე შანსები ჰქონდა ზლატან იბრაჰიმოვიჩს. რიკარდუ კუარეშმას დარტყმისას კი ბურთი მასპინძელთა მეკარის ხელიდან ძელს მოხვდა.

27-ე წუთზე ანგარიში მაინც „ინტერმა" გახსნა — იბრაჰიმოვიჩმა ორი მეტოქე ჩამოიცილა და ჩინებულად უპასა მანსინის, ვისაც გატანა არ გასჭირვებია.

შესვენებამდე ათენელთა ფორვარდმა ბრაის მუნმა სამჯერ სახიფათოდ დაარტყა, ორჯერ ჟულიო სეზარმა იყოჩაღა, ერთხელ კი ბურთი ძელმა აისხლიტა.

მეორე ტაიმში შეცვლაზე შესულმა ანდრეას ივანშიცმა „პანათინაიკოსი" უფრო მეტად გამოაფხიზლა და მასპინძლებმა უპირატესობა მოიპოვეს, მაგრამ ამაოდ.

85-ე წუთზე შეცვლაზე სამი წუთის შესულმა ადრიანომ შეხვედრის საბოლოო ანგარიში დააფიქსირა. „იმპერატორს" ასისტენტობა იმავე იბრაჰიმოვიჩმა გაუწია.

„საკმაოდ კარგად ვითამაშეთ. „ინტერს" სამი მომენტი ჰქონდა და ორი გამოიყენა. ჩვენც სამი შანსი მოგვეცა, მაგრამ ვერცერთით ვერ ვიხეირეთ. ყველაფერი გამოცდილებამ და ინდივიდუალურმა ოსტატობამ გადაწყვიტა. იბრაჰიმოვიჩი ამჟამად მსოფლიოს საუკეთესო ფორვარდია. იგი ყველგან არის, თითქმის ყველა ორთაბრძოლას იგებს და გუნდისთვის უაღრესად სასარგებლოა. ახლა შეცდომები კარგად უნდა გავაანალიზოთ და მათ გამოსწორებასა და მომავალ მატჩებზე ვიფიქროთ" — განაცხადა ათენელთა მწვრთნელმა ჰენკ ტენ კატემ.

ჟოზე მაურინიუ: „სამუშაო კარგად შევასრულეთ, მაგრამ მე ყოველთვის მეტი მინდა. თუმცა კმაყოფილი ვარ ბიჭების გარჯით. მეორე ტაიმში ცოტა გაგვიჭირდა, მაგრამ ვითარებიდან მშვიდად გამოვედით და გოლიც გავიტანეთ. მნიშვნელოვანი სამი ქულაა, ჩემპიონთა ლიგაში სტუმრად თამაში ყოველთვის ძალიან რთულია, ვისაც უნდა ხვდებოდე. ჩვენი მთავარი მიზანი შემდეგ ეტაპზე გასვლაა, მაგრამ ახლა პირველ ადგილზეც შეგვიძლია ფიქრი. ადრიანო კარგად შრომობს და მას ვენდობით. თუმცა ყველაზე მეტად მაინც იბრაჰიმოვიჩი უნდა გამოვარჩიო, მან ბრწყინვალედ ითამაშა. არ გაუტანია, მაგრამ უდიდესი და სასარგებლო სამუშაო შეასრულა. განსაკუთრებით საოცარი მისი მეორე საგოლე გადაცემა იყო, უბრალოდ დაუჯერებელი".

ბრემენის „ვერდერი" მთელი მატჩის განმავლობაში ფლობდა უპირატესობას და „მუსიკოსებს" ცოტა მომენტი ნამდვილად არ შუქმნიათ, მაგრამ ვერცერთი ვერ გამოიყენეს.


ათენელებმა იბრაჰიმოვიჩს (შუაში) ვერაფერი მოუხერხეს

თემურ ქეცბაიასა და მის „ანორთოსისს" კი ჩემპიონთა ლიგაში ჩინებული დებიუტი გამოუვიდა. ალვნიშნოთ ისიც, რომ 70-ე წუთზე მინდორზე კლიმენტი წიტაიშვილი შევიდა.

„ვერდერის" მთავარი მწვრთნელი თომას შაფი: „ნამდვილად სხვა შედეგს ველოდით, მაგრამ სიტუაცია უცვლელი რჩება, ჯგუფიდან გასასვლელად ისევ სხვა გუნდებს უნდა ვაჯობოთ. იმედგაცრუებული და გაბრაზებული ვარ, რადგან კარგად ვიცოდი, რა ძნელია ასეთი დაცვის მქონე გუნდებთან თამაში და ფავორიტის სტატუსიც ხშირად ცუდად მოქმედებს. 5-6 შანსი გვქონდა, მაგრამ ბოლო ფაზაში სიმწვავე გვაკლდა. მსგავს მატჩებში დიდი შემართება, აგრესია და გამარჯვების წყურვილი უნდა გამოიჩინო, ეს შედეგს მოიტანს".

„ვულოცავ ბიჭებს ჩემპიონთა ლიგაში ასეთ წარმატებულ დებიუტს. საკმაოდ კარგად ვითამაშეთ და გვინდა, ხუთ დარჩენილ რთულ შეხვედრაშიც ასე გავისარჯოთ. კონცენტრაცია არცერთი წუთით არ დაგვიკარგავს და ძალიან დაცვითი ტაქტიკით ვითამაშეთ, რამაც შედეგი გამოიღო. ტრაიანოს დელასი თავიდანვე ვათამაშე და მან დაამტკიცა, რომ არჩევანში არ შევმცდარვარ" — თქვა ქეცბაიამ.

**ძოძი ძანდელაძი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინტერი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 |
| ანორთოსისი | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| ვერდერი | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| პანათინაიკოსი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 |

# ჩემპიონთა ლიგა 2008-2009. ჯგუფური ეტაპი. I ტური

**C ჯგუფი**

**ბარსელონა 3:1 სპორტინგი**

1:0 მარკესი (21), 2:0 ეტოო (60პ), 2:1 ტონელი (72), 3:1 ხავი (87)
ბარსელონა: ვალდესი, ალვეში, პიკე, მარკესი, პუიოლი (სილვინიო 89), ხავი, კეიტა, ინიესტა, მესი, ეტოო (იაია ტურე 66), ანრი (პედრიტო 75)
მწვრთნელი: ხოსეპ გვარდიოლა
სპორტინგი: პატრისიუ, აბელი, პოლგა, ტონელი, კანეირა (პერეირინია 79), როშემბაკი (ველოზუ 65), მოუტინიუ, რომანიოლი, იზმაილოვი, დერლეი, ჯალო (პოშტიგა 62)
მწვრთნელი: პაულუ ბენტუ
გაფრთხილება: პიკე, როშემბაკი
მსაჯი: ლორან დუამელი (საფრანგეთი)
58 354 მაყურებელი

**ბაზელი 1:2 შახტარი**

0:1 ფერნანდინიუ (25), 0:2 ჟადსონი (45), 1:2 აბრაჰამი (90)
ბაზელი: კოსტანცო, ცანი, აბრაჰამი, მარკი, ჰოდელი, ჰუგელი, კარლიტუში, ჟელაბერი (რუბიო 63), ჩიპერფილდი, სტოკერი (მუსტაფი 46), დერდიოქი (ედუარდუ 46)
მწვრთნელი: კრისტიან გროსი
შახტარი: პიატოვი, სრნა, ჩიგრინსკი, კუჩერი, შევჩუკი, ფერნანდინიუ (ფედეცკი 83), ჰიუბშმანი, ილსინიუ (ვილიანი 66), ჟადსონი, ბრანდაუ, ადრიანუ (სელეზნოვი 74)
მწვრთნელი: მირჩა ლუჩესკუ
გაფრთხილება: ჰიუბშმანი, ცანი, შევჩუკი, ბრანდაუ
მსაჯი: ტერიე ჰაუგე (ნორვეგია)
34 820 მაყურებელი

## სპორტინგმა ბარსელონას ფსიქოლოგიურად უმკურნალა



„ბაზელის" გოლკიპერი კოსტანცო დონეცკელი ფერნანდინიუს ზემოქმედ დარტყმას ვერ გაუმკლავდა

**პრიმერადივიზიონში** ცუდი დასაწყისის შემდეგ, ხოსეპ გვარდიოლას „ბარსელონამ" ჩემპიონთა ლიგაში მოგებით ამოისუნთქა.

„ეს გამარჯვება ფსიქოლოგიური თვალსაზრისით დროული იყო — თქვა მასპინძელთა მწვრთნელმა — ჯერ პირველი ტურია, მაგრამ ცხრილის თავში რომ ვართ, უკვე სასიხარულოა. ჩემპიონატის ორივე მატჩშიც და დღესაც, ბევრი საგოლე მომენტი შევქმენით და მათი გამოყენება უნდა ვისწავლოთ.

2:1-ზე ცოტა გაგვიჭირდა, რადგან ბიჭები ნერვიულობდნენ, რომ მეორეც არ გაეშვათ, თუმც ხავის გოლმა საბოლოოდ დაგვამშვიდა".

„ჩვენ ძალიან გვჭირდებოდა გამარჯვება — განაცხადა ხავიმ — თავდაჯერებულები ვიყავით, მომენტები შევქმენით და მეტის გატანაც შეგვეძლო. კარგი ფეხბურთი ვაჩვენეთ და მოგებას ვიმსახურებდით".

„ჩემმა გოლმა სხვაობა ორამდე გაზარდა, მაგრამ მთავარი ის კი არაა, რომ მე გავიტანე, არამედ საბოლოო შედეგი. ჩემპიონატში თამაში ვერ მოვიგეთ, მაგრამ ვიცოდი, რომ მოთმინება დაგვიფასდებოდა. ამ გამარჯვებამ საკუთარი ძალის რწმენა შეგვმატა"— აღნიშნა სამუელ ეტოომ.

„ძალიან მნიშვნელოვანი მოგება იყო და პრიმერას მომდევნო ტურში ხიხონის „სპორტინგთანაც" ასევე უნდა ვითამაშოთ — თქვა ტიერი ანრიმ — საქმე ფრიადზე შევასრულეთ, ფანებიც კმაყოფილნი დარჩნენ და ჩვენც უფრო თავდაჯერებულნი ვართ".

რაფაელ მარკესის გოლი იმითაა გამოსარჩევი, რომ „ბარსასთვის" ბოლო სამ მატჩში თამაშიდან გატანილი პირველი გოლი იყო. მანამდე „ნუმანსიასთან" ვერ გაიტანეს, „რასინგთან" კი მესიმ პენალტი შეაგდო.

„შახტარის" ბრაზილიელებმა ფერნანდინიუმ „ბაზელს" საუცხოო გოლი გაუტანა: საჯარიმო დარტყმა 36 მეტრიდან [illegible] ტყვიასავით შევარდა კარში.

ჟადსონსაც ლამაზი გოლი გამოუვიდა — ფლანგიდან საჯარიმოში ჩააზვია, მაგრამ ბურთს არავინ შეეხო, მეკარეც დაიბნა და 0:2.

მასპინძელთა მწვრთნელმა კრისტიან გროსმა აღიარა, რომ მეტოქემ აშკარად აჯობა: „შახტარმა" გამარჯვება დაიმსახურა. სივრცეები დავუთმეთ და ჩვენი თამაში არ წაგვივიდა. მხოლოდ ტაიმების დასაწყისში ვცადეთ პრესინგი, მაგრამ ბოლომდე ვერ მივიყვანეთ.

გამოჩნდა, რომ „ბაზელს" მეტი არ შესძლებია, თუმც ნახევარდაცვაში ივან ერგიჩი და შეტევაში მარკო შტრელერი რომ გვყოლოდა, უკეთესად ვითამაშებდით.

პირველ ტურში მარცხი ტრაგედია არაა, მაგრამ მომდევნო მატჩებში ხარისხი აუცილებლად უნდა გავაუმჯობესოთ".

მირჩა ლუჩესკუ: „მასპინძლებისგან პრესინგს თავიდანვე ველოდი, მაგრამ პირველი ტაიმი ჩვენი კარნახით მიმდინარეობდა.

„ბაზელმა" შესვენებამდე ბევრი ვერაფერი შექმნა, მეორე ნახევარში კი კარგად ათამაშდნენ და ჩვენს დაცვაშიც ბზარები გაჩნდა.

ფიზიკურად გვჯობდნენ, მაგრამ ტაქტიკურ-ტექნიკურად „შახტარი" უკეთ იყო მომზადებული".

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბარსელონა | 1 | 1 | 0 | 0 | 3:1 | 3 |
| შახტარი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| ბაზელი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |
| სპორტინგი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:3 | 0 |

# ალიყური

## ერთხელ 0:3 სჯობს სამჯერ 0:1-ს

**D ჯგუფი**

**პსვ 0:3 ატლეტიკო**

0:1, 0:2 აგუერო (9, 36). 0:3 მანიშე (54)
პსვ: ისაქსონი, სალსიდო, მარსელისი, ბრეშე (როდრიგესი 74), პიეტერსი, მენდესი, სიმონსი, აფელაი (ლაზოვიჩი 70), კულინა (ბაკალი 46), ამრაბატი, კოევერმანსი
მწვრთნელი: ჰუბ სტევენსი
ატლეტიკო: ლეო ფრანკო, პერეა, ჰეიტინგა, უიფალუში, ა. ლოპესი, ლუის გარსია, ასუნსაუ, მანიშე (ბანეგა 65), სიმაუ, აგუერო (რაულ გარსია 63), ფორლანი (სინამა-პონგოლი 31)
მწვრთნელი: ხავიერ აგირე
გაფრთხილება: ასუნსაო, მენდესი, ამრაბატი, პერეა
მსაჯი: რობერტო როზეტი (იტალია)
28 000 მაყურებელი

**მარსელი 1:2 ლივერპული**

1:0 კანა (23), 1:1, 1:2 ჯერარდი (26, 32პ)
მარსელი: მანდანდა, ბონარი, ზუბარი, ილტონი, ტაივო, შეირუ, კანა, ბენ არფა (ზიანი 57), მბამი (ვალბუენა 41), კონე (სამასა 75), ნიანგი
მწვრთნელი: ერიკ გერეტსი
ლივერპული: რეინა, არბელოა, კარაგერი, შკრტელი, დოსენა, ლეივა, ჯერარდი (ბენაიუნი 69), მასკერანო, ბაბელი, კუიტი (კინი 86), ტორესი (რიერა 65)
მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი
გაფრთხილება: შკრტელი, ზუბარი, ლეივა
მსაჯი: კონრად პლაუცი (ავსტრია)
45 000 მაყურებელი

**„მხოლოდ** სტივენ ჯერარდის მსგავს ფეხბურთელებს შეუძლიათ ასეთი გოლების გატანა" — თქვა „მარსელის" მწვრთნელმა ერიკ გერეტსმა.

თუმც ლიმ მეორე სეტში აჩვენა, რომ პეკინში მისი წარმატება შემთხვევითობა არ ყოფილა და ანგარიში მშვენიერ სტილში გაათანაბრა, როცა კუზნეცოვას მხოლოდ გეიმი აალებინა. ამან რუსი მაგრად გააცოფა — სვეტალანამ სხვა რომ ვერაფერი მოახერხა, ჯავრი ჩოგანზე იყარა და ნაწილებად დაფშვნა. ამისთვის სლავმა გაფრთხილება კი მიიღო, მაგრამ ეტყობა, ამასთანავე ყველანაირი უარყოფითი ემოციისგანაც დაიცალა და გადამწყვეტ პარტიას სრული კონცენტრაციით შეხვდა. ბევრი რომ აღარ გავაგრძელოთ, კლასმა მაინც თავისი გაიტანა და კუზნეცოვაც მეორე წრეშია.

მოიგო კიდევ ერთმა რუსმა ნადია პეტროვამ. ამ რუსმა აქამდე იმით მიიქცია ყურადღება, რომ რამდენიმე დღის წინ საკუთარ პროფესიაზე დაიწუწუნა, არ მომწონს, ამდენი მოგზაურობა რომ მიწევსო. საინტერესოა — აბა სახლში მხართეძოზე წამოწოლილს უნდა ტურნირებზე თამაში?

ასეა თუ ისე, პეტროვა გუშინ კარგ ხასიათზე იყო და ეს მის თამაშზეც აისახა, როცა საკმაოდ უტეხი არავანე რეზაი ორ სეტში დააჩოქა.

ტოკიოში არ უმართლებთ ახალგაზრდა მეჩოგნეებს — გუშინწინ აგნეს სყავაი განადგურდა, გუშინ კი უნგრელის ბედი სულ ცოტა ხნის საუკეთესო ოცეულში დამკვიდრებულმა კაროლინ ვოზნიაკიმ გაიმეორა. თუმც თინეიჯერთა ასეთი უილბლობა გასაკვირი სულაც არ არის, რადგანაც მათ ასაკში ძნელია სტაბილურად მაღალ დონეზე თამაში. დანიელს კი კატარინა სრებოტნიკმა მოუგო, რომელსაც ტურნირზე მოსახვედრად კვალიფიკაციის გავლა დასჭირდა.

მეორე წრე კი დინარა საფინამ გახსნა, რომელსაც წლეულს რასთან და სტაბილურობასთან პრობლემა აშკარად არა აქვს. ეს რუსი ყველგან უპრობლემოდ ახერხებს საწყისი მატჩების მოგებას და ამ ტრადიციის დარღვევას არც იაპონიაში აპირებს. ჩვენში დარჩეს და, იგი ტურნირის ერთ-ერთ უმთავრეს ფავორიტად ჩაითვლება. ამჯერად კი საფინა ამელი მორესმოს გამამწარებელ დომინიკა ციბულკოვას გაუმკლავდა, თან ძალიან იოლად — ამისთვის საათზე ოდნავ მეტი დასჭირდა.

გუანჯოუშიც რუსია ჩემპიონობის უმთავრესი პრეტენდენტი. ვერა ზვონარიოვა ჩინეთში პირველ ნომრად



სვეტლანა კუზნეცოვა

ტყუილად არ განუთესავთ. მან თავისი პრეტენზიები გუშინაც დაამტკიცა, როცა სასტარტო შეხვედრაში სულ რაღაც 72 წუთი დაუთმო ანასტასია როდიონოვას და მას მხოლოდ სამი გეიმი აალებინა.

ზვონარიოვას შანსები კიდევ უფრო გაიზარდა მას შემდეგ, რაც ჩინეთში თამაშზე უარი თქვა პატი შნიდერმა. შვეიცარიელმა ჯერ კიდევ წინა კვირას ბალიზე გამარჯვების შემდეგ განაცხადა სახლი მომენატრა, სადაც უკვე რვა კვირაა არ ვყოფილვარო. ჰოდა, შვეიცარიელს ეტყობა ნოსტალგია ძალიან შემოაწვა და შინ დაგეგმილზე ადრე გაეშურა.

დანარჩენი მატჩებიდან კი განთესილების — მეექვსე ნომერ ოლგა გოვორცოვასა და მერვე მარია კორიცევას წაგებებს თუ გამოვყოფთ. პირველმა ამერიკელ ჯილ კრეიბასთან დაყარა ფარ-ხმალი, მეორემ კი კარინ კნაპს ვერ მოუხერხა ვერაფერი.

**ბაჩა ლომაშვილი**



# მალე ყინული გახურდება



რობერტ ლანგი

*ზაფხული გასრულდა და ჩრდილო ამერიკაში მორიგი სეზონისთვის მზადება დაიწყო. რეგულარული ჩემპიონატის დაწყებამდე თვეზე ნაკლები რჩება და გუნდებმაც ნელ-ნელა დაიწყეს შეკრება — გაიხსნა სავარჯიშო ბანაკები, რასაც მალე საგამოფენო მატჩები მოჰყვება, ორ-სამ კვირაში კი გუნდების სამწვრთნელო შტაბები საბოლოოდ შეარჩევენ სასურველ შემადგენლობებს. ყველაფერი საინტერესო ჯერაც წინ გველის, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ აქამდე ყველაფერი გაყინული იყო და არაფერი მომხდარა. ახლა სწორედ ბოლოს მომხდარ სიახლეებზე ვისაუბროთ...*

## მონრეალი ლანგით განელდა

ბოლო დღეების უმთავრესი მოვლენა გამოცდილი რობერტ ლანგის „ჩიკაგოდან“ „მონრეალში“ გადასვლა იყო. ეს ტრეიდი რამდენიმე კუთხით არის საინტერესო.

პირველ რიგში ეს ნიშნავს იმას, რომ „ჩიკაგომ“ აქცენტი საბოლოოდ გააკეთა თავის ახალგაზრდა ვარსკვლავებზე — „ქარების ქალაქში“ წლეულს კაპიტნად დასახელებულ ჯონატან ტაუესსა და პატრიკ კეინზე ამყარებენ იმედებს. პლუს გუნდმა ლანგის გაშვებით სახელფასო ფონდი ოდნავ მაინც განტვირთა, რადგანაც ზაფხულში მეკარე კრისტობალ იუესა და მცველ ბრაიან კემპბელის დამატებით საგადასახადო ჭერს გადააჭარბა.

ამას ტრეიდს „მონრეალის“ პოზიციიდან რომ შევხედოთ, გამოვა, რომ ლანგის დამატებით კანადურმა გუნდმა ხელი საბოლოოდ ჩაიქნია მატს სუნდინზე. შვედის დამატება „კანადიენსს“ ძალიან უნდოდა და მის გადაწყვეტილებას მთელი ზაფხულიც ელოდა, მაგრამ ვიკინგს არა და არ დაადგა საშველი და „მონრეალის“ გენერალურმა მენეჯერმა ბობ გეინიმ კიდევ მოცდას მოქმედება ამჯობინა. ეტყობა, გეინის იმედი აქვს, რომ ლანგი ძველ პარტნიორ ალექსეი კოვალიოვის გვერდზე შეძლებს მაღალ დონეზე ათამაშებას.

თუმც ბევრი ჩეხი ვეტერანის ადგილს „მონრეალში“ საერთოდ ვერ ხედავს. გი კარბონოს ხელში გუნდი ზესწრაფ ჰოკეის თამაშობს, მაშინ როცა ლანგი სისწრაფით ახალგაზრდობის წლებშიც არასოდეს გამოირჩეოდა, მით უმეტეს ახლა ამიტომ კანადელებისთვის ეს საკმაოდ სარისკო ინვესტიციად შეიძლება იქცეს.

## ბურკს აერია ბუღალტერია

„ანაჰაიმის“ გენერალური მენეჯერ ბრაიან ბურკს შარშან დაშვებული შეცდომების გამოსწორება ძალიან უჭირს და რაც დროს გადის, გუნდს სულ უფრო მძიმე მდგომარეობაში აგდებს.

ბურკს ჯერ კიდევ შარშან ბევრი აფრთხილებდა, რომ არ ღირდა ტოდ ბერტუცისა და ვეტერანი მეტიუ შნაიდერისთვის ძვირი კონტრაქტების (ორივეს ორწლიანი და შესაბამისად 5 და 11 მილიონიანი) შეთავაზება. თუმც ბურკმა ჯიუტად თავისი გააკეთა და ახლა მწარე შედეგებსაც იმკის — გუნდს ერთიც ვერ მოერგო და რადგანაც საჭირო გახდა სახელფასო ფონდის განტვირთვა, „ანაჰაიმის“ პირველკაცი წლეულს იძულებული გახდა ორივეს კონტრაქტი გამოესყიდა. მან ბერტუცი ზაფხულში მოიშორა და ჰოკეისტმაც „კალგარის“ მიაშურა. ბურკს იმედი ჰქონდა, რომ შნაიდერს გაცვლიდა მაინც, მაგრამ არც ერთმა გუნდმა მოინდომა 39 წლის შნაიდერისთვის 5,5 მილიონის გადახდა.

შედეგად, ბურკს ვეტერანი მცველის კონტრაქტის გამოსყიდვა მოუწია, რაც ორიოდ დღის წინ გააკეთა კიდეც. აი, შნაიდერი კი საეჭვოა უგუნდოდ დარჩეს, რადგანაც მისნაირად შეტევაზე ორიენტირებული უკანა ხაზელი ბევრს სჭირდება — ამბობენ შნაიდერის აყვანა ყველაზე მეტად „ოტავას“ სურსო.

## სტაალის კოლოსალური

„კაროლინამ“ თავის ახალგაზრდა ვარსკვლავ ერიკ სტაალს სუპერკონტრაქტი გაუფორმა — 7 წლიანი და 57,75 მილიონიანი. ანუ ჰოკეისტი წელიწადში საშუალოდ 8,25 მილიონს მიიღებს.

ეს მართლაც რომ კოლოსალური კონტრაქტია და ბევრის შეფასებით აშკარად გადაჭარბებულიცაა. მაგრამ წლევანდელ ზაფხულში მომხდარი მოვლენების ფონზე — როცა „ჩიკაგო“ ბრაიან კემპბელს საშუალოდ 7,1 მილიონს, ანაც „ტორონტო“ საშუალოზე საშუალო უკანა ხაზელ ჯეფ ფინგერს 4 წელიწადში 16 მილიონს ჩაუთვლის, „კაროლინასთვის“ ეს გარიგება არცთუ დიდ კომპრომისად მოჩანს. მით უმეტეს იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ სტაალი 24 წლისაა და საუკეთესო სეზონები ჯერ კიდევ წინ აქვს.

## გრეცკიმ კანადაზე უარი თქვა

„დიადმა ვინმემ“, უეინ გრეცკიმ უარი თქვა 2010 წლის ვანკუვერის ზამთრის ოლიმპიადისთვის კა



უეინ გრეცკი

ნადის ნაკრების გენერალური მენეჯერი გამხდარიყო.

გრეცკისთვის ეს ახალი საქმე არ იქნებოდა — ის თავში ედგა 2002 წლის სოლტ ლეიკ სიტისა და 2006 წლის ტურინის ოლიმპიადაზე ჩასულ ნაკრებებს. პირველ შემთხვევაში „დიად ვინმეს“ ყველაფერი გამოუვიდა და კანადელებმა სოლტ ლეიკ სიტიში 50 წლიანი შესვენების შემდეგ პირველი ოლიმპიური ოქრო მოიგეს. სამაგიეროდ, გრეცკის მიერ არჩეული შემადგენლობა და სამწვრთნელო შტაბი აშკარად ჩავარდა ტურინში, სადაც კანადამ მეოთხედფინალში წააგო.

გრეცკის სავარაუდო შემცვლელად კიდევ ერთი ლეგენდა, „დეტროიტის“ მრავალწლიანი კაპიტანი სტივ აიზერმანი მოიაზრება. „წითელი ფრთების“ მოქმედ ვიცე-პრეზიდენტს ამაში უკვე საკმაო გამოცდილება დაუგროვდა. აიზერმანი თავში ედგა კანადის ნაკრებს ბოლო ორ მსოფლიო ჩემპიონატზე — შარშან ჰოკეის გამომგონებლებმა ოქრო მოიგეს, წლეულს კი ვერცხლს დასჯერდნენ.

**ბაჩა ლომაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

la vuelta'08

**63-ე ლა ვუელტა ესპანა. 30 აგვისტო - 21 სექტემბერი**



დუნედ მავალ პელოტონს ღირსშესანიშნაობების დათვალიერებისთვისაც ეცალა



ტომ ბოონენის გამარჯვება

# ისინი ჩამოვიდნენ მთიდან

**15 სექტემბრისთვის** ველოქარავანი საბოლოოდ ჩამოვიდა მთებიდან და ამ მოვლენით უკმაყოფილო კაციშვილი არ დარჩენილა. იმდენად დამღლელი იყო წლევანდელი ვუელტას აღმართები, რომ მათაც კი შვებით ამოისუნთქეს, ვისთვისაც ეს მთები მარცხიანი გამოდგა.

ჩემპიონის, უფრო ზუსტად კი მომავალი ჩემპიონის ვინაობაც სწორედ მთის უსწორმასწორო გზებზე გაირკვა, სადაც ყველაზე მეტი გამძლეობა და ძალა ალბერტო კონტადორს აღმოაჩნდა, ხოლო მის მიერ ალალად ძლეულ პრეტენდენტთა გრძელ სიაში ვაკის ეტაპები ველარანაირად ვერ შეიტანენ კორექტივებს — სწორ გზაზე ხომ პელოტონი განუყოფელი ერთი სხეულია და შეუძლებელია, მეტოქის იმხელა მანძილით და დროით ჩამოტოვება, რომ მას საერთო ჩათვლაში გაასწრო. დარჩა მხოლოდ 17-კილომეტრიანი ინდივიდუალური რბოლა, რომელიც წლევანდელ ვუელტაზე მე-19 ეტაპადაა ჩანიშნული და 19 სექტემბერს გაიმართება, მანამდე კი, მრბოლებო, ესპანეთის ცხელ ვაკეზე გაისეირნეთ, თან ბლომად წყლის მომარაგება არ დაგავიწყდეთ.

მე-16 ეტაპი სწორედ სასეირნო გამოვიდა და დუნედაც წარიმართა პონფერადადან ზამორამდე გაჭიმულ 186-კილომეტრიან გზაზე. მაინც გამოინახა ერთი სოლიდური აღმართი — პირველი 15 კილომეტრი, სადაც პელოტონი ზღვის დონიდან 580 მეტრიდან 1525-ამდე ამაღლდა. რაც წლეულს მათ ესპანეთში მთები გადაიარეს, ახლა ესღა აკლდათ...

პელოტონი სულ გასავათდა და მიუხედავად იმისა, რომ მერე მთელი გზა ზომიერ და თანაბარ დაღმართზე ეშვებოდა, მრბოლებმა მაინც შეანელეს სვლა. ევროსპორტის კომენტატორები მცირედ დასცინოდნენ კიდეც და ერთმანეთში ბჭობდნენ — ესენი საკუთარ ქუჩაზე მოსეირნე ბავშვებივით მიდიან, დაღამებამდე ვერ მივლენ და მშობლები გაუჯავრდებიანო. დაღამებამდე კი მივიდნენ, მაგრამ დაგეგმილზე ერთი საათით გვიან და საფინიშო ქალაქ ზამორის ქუჩებში მათ სანახავად გამოფენილი ხალხი ზედმეტად აყურყუტეს.

პელოტონთან გაქცევა-დაჭერობანას თამაშობაც იშვიათი იყო. დაღმართს რომ დაუყვნენ, დაახლოებით 24-კილომეტრიან ნიშნულთან პელოტონს მოსწყდა ესპანელი ხესუს როსენდო და მოგვიანებით მას თანამემამულე უოლტერ პედრაზა გამოენთო. ჯგროს არ უცდია ლტოლვილთა დევნა, ეყოთ, რაც მთებში სდიეს ერთმანეთს. ჰოდა, გაქცეულთა დუეტმა 53-ე კილომეტრთან რვანახევარი წუთით წინ წასვლა შეძლო და ამის მერეღა იკადრა ძირითადში ჯგუფმა ამუშავება — ეგენი ძალიან გაგვასწრებენ და ჩვენს სპრინტერებს ფინიშს ჩაუშხამებენო — ამ გათვლით მოქმედებდნენ ის გუნდები, რომლებსაც ჩქაროსანი ფინიშიორები ჰყავთ.

ყველაზე უფრო მობილიზებული ჩანდა მსოფლიოს ყველაზე თუ არა, ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი სპრინტერის, ბელგიელი ტომ ბოონენის გუნდი „ქუიქ სტეპი“. მისი მრბოლები პელოტონის თავში ერთად შეიკრნენ, სულ წვერში მსოფლიოს ჩემპიონი პაოლო ბეტინი დააყენეს და რამდენიმე კილომეტრი შეუცვლელად ამუშავეს. სამაგიეროდ, ამან შედეგიც მოიტანა. პელოტონმა ნელ-ნელა შეამცირა გაქცეულებთან ჩამორჩენა და ფინიშამდე შვიდი კილომეტრით ადრე ჩაყლაპა, თუმცაღა გუნდმა დამაკმაყოფილებელი სიჩქარით დისტანციის მხოლოდ ბოლო ოცი კილომეტრი იარა.

ბეტინის მეთაურობით „ქუიქ სტეპმა“ განსაკუთრებით მწყობრად იმუშავა და ბოონენს კარგი პლაცდარმი შეუქმნა. თავად ჩემპიონმა კიდევ ორი კილომეტრი პირადად ზიდა პელოტონი და ფინიშამდე 1800 მეტრით ადრე დათმო მოწინავე პოზიცია, ისიც იმიტომ, ომ თანაგუნდელებისთვის კოორდინირება გაეწია და ამათაც ტაქტრევანით გაიყვანეს ბოონენი შესატევ პოზიციაზე.

თავად ბოონენსაც გვარიანი მუშაობა დასჭირდა მოსაგებად. მას კუდზე დააჯდა საკმაოდ სწრაფი ფინიშიორი, იტალიელი ფილიპო პოცატო და ბოლო მეტრებზე თავგამოდებული აჩქარებითღა მოახერხა მისი იქიდან ჩამოგდება. თუმც ნარბოლევს გარჯა არ დაუკარგა და თავისი დაფნის გვირგვინიდან მოზრდილი ყლორტი უწილადა.

„ფილიპო ძალიან ძლიერი სპრინტერია, მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესოა და ძალიან გამიკვირდა, მსოფლიო ჩემპიონატისთვის იტალიის ნაკრებში რომ არ შეიყვანეს. მაგათ (იტალიელებს) ასე უცნაურად აქვთ საქმე აწყობილი — ირჩევენ ერთ ლიდერს და სხვა მის დამხმარედ მიჰყავთ. ამ დროს ისეთ კაცს ტოვებენ გარეთ, როგორც პოცატოა. ჩვენთან, ბელგიაში ნაკრებში ყოველთვისაა საუკეთესო ბიჭებისთის ადგილი“ — ამბობდა ბოონენი.

მერე მან საკუთარი თავიც შეაქო — „ვუელტაზე ეტაპი დასაწყისშიც მოვიგე და აგერ დასასრულისკენაც. მთებმაც ვერ დამქანცა, იქაც ღონივრად მოვდიოდი და აქაც კარგად ვიარე. ახლა, როცა ყველა დაღლილია და მხოლოდ მადრიდში ჩაღწევასა და იქ დასვენებაზე ფიქრობს, გამარჯვება განსაკუთრებით ძნელია. თუ ამას შეძლებ, ესე იგი, გონებაში სინათლე და ფეხებში ძალა შეგრჩენია.“

**ირაკლი ფირაშვილი**

| მე-16 ეტაპი. პონფერადა — ზამორა. 186 კმ | |
|---|---|
| 1. ტომ ბოონენი (ბელგია, „ქუიქ სტეპი“) | 5 სთ 21 წთ 16 წმ |
| 2.ფილიპო პოცატო (იტალია, „ლიკუიგასი“) | |
| 3.ჰაინრიხ ჰაუსლერი (გერმანია, „გეროლშტეინერი“) | |
| 4. მიშელ დელაჟი (საფრანგეთი, „ფრენსეზ დე ჟუ“) | |
| 5.ტომას ვაიკუსი (ლიტვა, „ასტანა“) | ყველას იგივე დრო |
| **საერთო ჩათვლა** | |
| 1. ალბერტო კონტადორი (ესპანეთი, „ასტანა“) | +66 სთ 35 წთ 4 წმ |
| 2. ლევი ლეიფეიმერი (აშშ, ასტანა) | +1 წთ 17 წმ |
| 3. კარლოს სასტრე (ესპანეთი, CSC) | +3 წთ 41 წმ |
| 4. ეზეკილ მოსკერა (ესპანეთი, „ხასობეო გალისია“) | +4 წთ 35 წმ |
| 5. რობერტ ხესინკი (ჰოლანდია „რაბობანკი“) | +5 წთ 49 წმ |



# წაართვით მაგას ბურთი!



ჯიუტი კრის პოლი

**ტორნადოების** სეზონმა ჩაიარა და მრავალგზის დანგრეულ ნიუ ორლეანს ყველამ ააცილა თავისი საბედისწერო ბორბალა, მაგრამ ამ ქალაქის კლუბ „ჰორნეთის“ თავკაცი ბაირონ სკოტი საკუთარ თავს დამშვიდების უფლებას ჯერ ვერ აძლევს. მის გუნდს ახლა სულ სხვა საფრთხე ემუქრება — შეიძლება ლიდერის გარეშე დარჩეს.

„ნიუ ორლეანს ჰორნეთსის“ საუკეთესო მოთამაშე კრის პოლი ახლა საღ-სალამათი კი გახლავთ, მაგრამ სკოტს ის აშფოთებს, რომ მისი კაპიტანი ვარჯიშით იკლავს თავს და ემანდ, სეზონის დაწყებამდე არ გადამეწვასო.

„დაუკეტეთ მაგას დარბაზის კარები!“ — გაჰყვირის სკოტი. თურმე კრის პოლი მიდის და გუნდის დარბაზში ინდივიდუალურად ვარჯიშობს, თანაც რომ დაიწყებს, დამთავრება აღარ იცის და დარბაზის პერსონალი საათობით უცდის. ლამის გასაღებიც გაატანეს, ჩვენ რაღაში გჭირდებით, შუაღამეს რომ მორჩები, კარს ღიად ნუ დატოვებო.

არადა, საწვრთნელი ბანაკები ჯერ არ გახსნილა და ნბა მომავალი სეზონის წინ დასვენების უკანასკნელი დღეებით ტკბება. ოქტომბერში გუნდები ერთობლივ შეკრება-ვარჯიშებს შეუდგებიან, რეგულარული ჩემპიონატი კი ნოემბერში იწყება კრის პოლი კი დარბაზში დასახლებულა, ლამისაა, ფარქვეშ დაიძინოს და კალათბურთზე ფიქრით გამოვსებული თავი ბალიშის მაგივრად ბურთზე დადოს. და ეს მაშინ როდესაც მას პრაქტიკულად არ დაუსვენია მთელი ზაფხული, ოლიმპიადაზე ღვრიდა ოფლს და ამერიკის ნაკრებს ოქროს მოპოვებაში ეხმარებოდა. იმ გუნდში პირველი კაცი არ იყო, მაგრამ არც უკანასკნელი გახლდათ — ძირითად გამთამაშებელს და ნაკრების კაპიტან ჯეისონ კიდს ცვლიდა, თუმც საშუალოდ მასზე მეტ დროს ატარებდა მოედანზე და ამ მხრივ ის მხოლოდ ორ აღიარებულ სუპერვასრკვლავს — კობი ბრაიანტსა და ლებრონ ჯეიმს ჩამორჩებოდა.

სკოტი კი ჩივის — „ბანაკები რომ გაიხსნება, პოლს ვარჯიშებში შეზღუდვები უნდა დავუწესო, თორემ ისე იკლავს თავს, რომ აუცილებლად გადაიწყვება, უმისოდ თამაში კი იგივე იქნება, დანჯღრეული შევროლეთი რომ სცადო „ინდი-500-ის“ მოგება.“

**ირაკლი ფირაშვილი**

# კარგი იყო, მაგრამ მეტი გვინდოდა!
## ამბიცია და სურვილი ტრავმებმა გააჩერა



ბაჩო კითილაშვილის ფოტო

**პეკინის ოლიმპიადაზე ქართველ გულშემატკივარს თუ ვინმესი ეიმედებოდა ერთ-ერთი მათგანი უთუოდ საქართველოს ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ნაკრები იყო. მოლოდინმა გაამართლა კიდეც. მანუჩარ კვირკველიამ (74კგ) ოლიმპიადა დამაჯერებლად მოიგო. თუმცა ქომაგთა ნაწილს უკმარისობის გრძნობაც გაუჩნდა, რადგან ბევრი სახელიანი ფალავანი უმედლოდ დაგვირჩა... რა იყო ამის მიზეზი? რატომ ვერ მოახერხეს ბიჭებმა უკეთესი შედეგის ჩვენება და როგორი გეგმები აქვს „ანტიკოსთა“ ნაკრებს — ამ კითხვებს ნაკრების თავკაცი ბეგი დარჩია პასუხობს...**

— ლაშა გოგიტიძე (55კგ) ახალგაზრდა პერსპექტიული ბიჭია და მისგან მომავალში ბევრს ველით. პეკინში ცუდად არ უჭიდავია, მაგრამ მაინც გამოცდილება აკლდა და ამიტომაც ვერ წავიდა უფრო წინ. ოლიმპიადამდე ევროპის ჩემპიონატიც კი არ უჭიდავია დიდებში და პირდაპირ ამხელა ტურნირზე მოხვდა. პირველ წრეში მასპინძელი, საკმაოდ ძლიერი მოჭიდავე წააქცია და მერე სომეხთან წააგო. სხვათა შორის, ეგ ბიჭი ერთ-ერთია მათ შორის, ვინც უხეშ მოჭიდავედ ითვლება და ხშირად არასპორტულადაც ჭიდაობს... მთლიანობაში კი ამ ეტაპზე ლაშასგან ბევრს ვერც მოვითხოვდით. ისე, ყველაფერი წინ აქვს...

დავით ბედინიძე (60კგ) მსოფლიოს ჩემპიონია და, ბუნებრივია, რომ მისგან კარგ გამოსვლასაც ველოდით, მაგრამ დათომ უმძიმესი თავის ტრავმა გადაიტანა, თითქმის ორი თვე გაუცდა მოსამზადებელ პერიოდში და ამან გარკვეული გავლენა იქონია მის ჭიდაობაზე. ბადეშიც არ გაუმართლა, პირველივე წრეში ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი ნაზარიანი შეხვდა. თუმცა იქ იყო ერთი საეჭვო ორქულიანი გდება, რამაც გადაწყვიტა შეხვედრის ბედი. ვიდეო გამეორებაზე გამოჩნდა, რომ ის გდება დათოსი იყო, მაგრამ ორი ქულა მეტოქეს მისცეს. ისეც არ მოხდა, რომ ფორმის აღდგენის საშუალება იქ მისცემოდა, ანუ ერთი ორთაბრძოლა რომ მოეგო მერე მოუმატებდა და ასე...

— მანუჩარ კვირკველიამ ოლიმპიური ჩემპიონობა ისე მოიგო, სერიოზული წინააღმდეგობა არავის გაუწევია...

— მანუჩარმა საოცრად იჭიდავა და ჩემპიონობაც ღირსეულად მოიპოვა. ის გეგმა, რაც წინასწარ იყო განსაზღვრული მან ბოლომდე შეასრულა, ერთი ნაბიჯიც არ გადაუდგამს ზედმეტი. ძალიან ბევრი იშრომა და ოლიმპიადას კარგ ფორმაში შეხვდა. მნიშვნელოვანი იყო ისიც, რომ ევროპის ჩემპიონატი გამოვატოვებინეთ. მერე უკვე იტალიის სალიცენზიო ტურნირი მოიგო და მომზადება განაგრძო.

პირველი შეხვედრა 10:0 მოიგო. მეორე 8:0. ნახევარფინალში უნგრულ ევროპის ჩემპიონთან ცოტა გაჭირდა საქმე იმის გამო, რომ მსაჯებმა არასწორი გადაწყვეტილება მიიღეს, მაგრამ მანუჩარმა ეს შეხვედრაც დამაჯერებლად მოიგო. ფინალი კი ჩინელ სპორტსმენთან ყველამ ნახა. კვირკველია ჩემპიონი საოცრად ლამაზი ჭიდაობით გახდა. ეს „ფილას“ პრეზიდენტმაც აღნიშნა. ბედნიერი კაცი ვარ, რომ შრომა დამიფასდა და მანუჩარი ოლიმპიური ჩემპიონია!

— ბადრი ხასაიასგან (84კგ) და რამაზ ნოზაძისგანაც (96კგ) ბევრს ელოდა გულშემატკივარი, მაგრამ...

— მათაც ბედინაძის მსგავსად მძიმე ტრავმები გადაიტანეს. ის გეგმა, რაც წინასწარ იყო განსაზღვრული ვერ შესრულდა და სათადარიგო ვარიანტებზე გადავერთეთ. ბოლოს მინსკის შეკრება აუცილებლად სრული დატვირთვით უნდა გაევლოთ, მაგრამ ნოზაძემ ხელი იტკინა და ბოლომდე ვერც ვტვირთავდით. პეკინშიც ვერ ვარჯიშობდა ისე, როგორც ჩვენ გვინდოდა. მინსკის შეკრება მაინც რომ გაევლო სრული დატვირთვით, ნოზაძე საშუალო დონეზე იქნებოდა მომზადებული და მერე ნელ-ნელა შევიდოდა ფორმაში, მაგრამ ტრავმამ არ გაგვიშვა. ხასაიას პირველივე წრეში თურქი ავლუჩა შეხვდა, ვინც ძალიან ძლიერი მოჭიდავე და მსოფლიოს ჩემპიონიცაა. არ მიეცა იმის საშუალება, რომ ნელ-ნელა შესულიყო ფორმაში. გამარჯვების შემთხვევაში მომდევნო ორთაბრძოლას უკეთესად შეხვდებოდა.

— საქართველოში შექმნილმა მდგომარეობამ რამდენად იმოქმედა მათზე?

— რა თქმა უნდა, ეგეც იყო. ადამიანები არიან და თავის ქვეყანაზე გული შესტკიოდათ, მაგრამ მაინც ტრავმების და სათანადო მოუმზადებლობის გამო მოხდა ეს ყველაფერი. ძალიან მწყდება გული, ხასაიასა და ნოზაძეს მინიმუმ ერთი ბრინჯაო როგორ არ უნდა აეღოთ, მაგრამ ასეა, სპორტია და ყველაფერი ხდება. მაქსიმალისტი ვარ და ვერ ვიქნები კმაყოფილი ამ შედეგებით. მით უმეტეს, ჩვენ შარშან მსოფლიოს საუკეთესო ნაკრების ტიტული მოვიპოვეთ და ამბიციებიც გვქონდა, თუმც, როგორც ვთქვი, ტრავმებმა გასაქანი არ მოგვცა...

— ახლა როგორი გეგმები გაქვთ. წლეულს ნაკრები სადმე იჭიდავებს?

— არა. იანვრამდე არსად არ იჭიდავებენ. უახლოეს დღეებში ხასაია და ნოზაძე ბელარუსში მიდიან ოპერაცია უნდა გაიკეთონ, რომ მოიშორონ ეს პრობლემები და სათანადო მომზადების საშუალება მიეცეთ. კვირკველია ჯერ სრული დატვირთვით არ ვარჯიშობს. დანარჩენები ფალავანთა კლუბში მოემზადებიან. იანვარში ალბათ საქართველოს ჩემპიონატს ჩავატარებთ. მეეჭვება, ხასაიამ და ნოზაძემ მანამდე ფორმაში შესვლა მოასწრონ. მერე საერთაშორისო ტურნირებიც დაიწყება და გეგმებსაც შესაბამისად დავაწყობთ...

**ლექსო მაისურაძე**






ბაჩო კითილაშვილის ფოტო

# გია ნაცვლიშვილი ფეხბურთს ესაუბრა

**საქართველოს** ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტობის კანდიდატი გია ნაცვლიშვილი წინასაარჩევნო პროგრამას განაგრძობს. გუშინდლამდე გია ნაცვლიშვილმა ოლიმპიური და არაოლიმპიური სახეობების მიუხედავად, სპორტული ფედერაციების ნახევარზე მეტი მოიარა და მათთან კონსულტაციებიც გამართა. გუშინ კი სეოკ-ის თავკაცობის კანდიდატი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობას შეხვდა.

„ფეხბურთის ფედერაციის უფროსობასთან საქმიანი საუბარი მქონდა. მათ ჩემი პროგრამა გავაცანი. ჩემი შეხედულებები გავუზიარე. სეოკ-ის პრეზიდენტად ჩემი არჩევის შემთხვევაში, ყველა ფედერაციამ უნდა იცოდეს რის გაკეთებას ვაპირებ და რა იქნება პრიორიტეტი. გუშინ სწორედ ამაზე ვესაუბრე სფფ-ის ხელმძღვანელებს, რადგან, მომავალი წლიდან ახალგაზრდებს შორის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი იწყება, რომელიც იმავდროულად 2010 წლის ლონდონის ოლიმპიადის სალიცენზიო ტურნირიცაა. ძალიან მსურს, რომ ლონდონში ჩვენმა ოლიმპიურმა ნაკრებმაც ითამაშოს. გუშინდელი შეხვედრით კმაყოფილი დავრჩი“ — გვითხრა გია ნაცვლიშვილმა, გუშინ რომ შევეხმიანეთ.

**ბაჩო სვანიძე**



## ლომთაძემ ვერ იფავორიტა

**ალბანეთის** ქალაქ დურესში მიმდინარეობს ევროპის 20-წლამდელთა ჩემპიონატი ძალოსნობაში. საქართველოს ნაკრები ტურნირზე ორი სპორტსმენით არის წარდგენილი.

შეჯიბრებების ფავორიტად მიჩნეული გიორგი ლომთაძე 56 კგ წონით კატეგორიაში უკვე გამოვიდა, მაგრამ იგი მედლის გარეშე დარჩა. ლომთაძემ მე-5 ადგილი დაიკავა. 19 სექტემბერს კი 94 კგ-ში ვაჟა ლონდაძე იასპარაზებს.



## ქართველები ფილიპინებზე

**ფილიპინებში** მიმდინარე საჭადრაკო ტურნირზე ქართველები, მიხეილ მჭედლიშვილი და კონსტანტინე შანავაც გამოდიან. 4 ტურის შემდეგ შანავა და მჭედლიშვილი სხვა მონაწილეებთან ერთად მესამე-მეთოთხმეტე ადგილებზე არიან. ჩვენებურები პირველ ადგილზე მყოფ ჩინელ და ყაზახ მოჭადრაკეებს ნახევარი ქულით ჩამორჩებიან. მომდევნო შეხვედრაში მჭედლიშვილი ფილიპინელ ბიტოონს ეთამაშება, ხოლო შანავა სინგაპურელი ჟანგის დაშამათებას შეეცდება.

## ჭადრაკი და რუმინული გაზი

**რუმინულ** „Open roingaz“-ის საჭადრაკო ტურნირზე გამარჯვების რეალურ შანსს ინარჩუნებს ქართველი თამაზ გელაშვილი. იგი 5 ტურის შემდეგ მე-3 ადგილზეა, 4,5 ქულა აქვს და ნახევარი ქულით ჩამორჩება ლიდერებს, რომელნიც 5 ქულით პირველ-მეორე ადგილებს იყოფენ.

## ბათუმში ევროპა ჩამოვა?

**2010 წელს** ბათუმმა, შეიძლება, ჭადრაკში ევროპის რომელიმე ასაკობრივ ჩემპიონატს უმასპინძლოს. ეს ყველაფერი კი 13-14 სექტემბერს ჩერნოგორიაში გამართულ ევროპის საჭადრაკო კავშირის საბჭოზე გაირკვა. საბჭომ ევროპის სხვადასხვა ასაკობრივი ნაკრებების ჩემპიონატის სავარაუდო მასპინძელ ქალაქებში ბათუმიც შეიყვანა.

## მიმდინარეობს შერჩევა

**თბილისის** ჭადრაკის სასახლეში მიმდინარეობს მატჩ-ტურნირი, რომლის ორი მოგებული მოთამაშე საქართველოს ოლიმპიურ ნაკრებში მოხვდება. ტურნირის გამარჯვებული ნაკრების მე-4 წევრი გახდება. მეორე ადგილზე გასული კი სათადარიგოს სტატუსს და შესაბამისად, საგზურსაც მიიღებს.

მატჩ-ტურნირში სალომე მელია, ნინო ხურციძე, მაია ლომინეიშვილი, სოფო გვეტაძე და სოფიკო ხუხაშვილი გამოდიან. გეტყვით იმასაც, რომ საქართველოს ნაკრებში ორი ადგილი კონკურსაგარეშე ლელა ჯავახიშვილსა და მაია ჩიბურდანიძეს მიეკუთვნათ.



ბორის ფირცხელიანი

# ლიპარტელიანმა მოუმზადებლად მოიგო
## ბორის ფირცხელიანი მსაჯებს აცოდვილებს

ამ უქმეებზე ვარშავაში ევროპის ჩემპიონატი დასრულდა ახალგაზრდებს შორის ტურნირზე. საქართველოს ნაკრების მონაგარმა ერთი ოქროს და ერთიც ბრინჯაოს მედალი შეადგინა. 90 კგ. წონით კატეგორიაში ყველა შეხვედრა იპონებით მოიგო ვარლამ ლიპარტელიანმა. შეჯიბრების პირველ დღეს კი 55-კგ-ში ბრინჯაოს მედალი მოიპოვა გიორგი ბროლაშვილმა. განვლილი ტურნირის შეფასება ახალგაზრდული ნაკრების მთავარ მწვრთნელ ბორის ფირცხელიანს ვთხოვეთ. მან ყველაფერთან ერთად ვარლამ ლიპარტელიანის გამოსვლის პერიპეტიებზეც მოგვითხრო...

— როგორ შეაფასებდით გასულ ევროპის ჩემპიონატს. კმაყოფილი ხართ მიღწეული შედეგით?

— მაინცდამაინც კმაყოფილი არ ვარ. უფრო მეტს ველოდი და ამის საფუძველიც მქონდა. დავკონკრეტდები და ვიტყვი, რომ სამი ბრინჯაოს და ერთი ოქროს მედლის აღება შეგვეძლო, მაგრამ მსაჯები ხშირად სცოდავდნენ ჩვენს საწინააღმდეგოდ.

— ვის მიმართ გამოიჩინა მსაჯმა უსამართლობა?

— ეს განსაკუთრებით თვალში საცემი პაატა მერებაშვილი (60კგ) და ზებედა რეხვიაშვილის (66 კგ) ჭიდაობის დროს იყო...

— რას იტყვით ვარლამ ლიპარტელიანზე, რომ არ განერვიულათ?

— ვარლამ ლიპარტელიანის ჩემპიონობაში თავიდანვე დარწმუნებული ვიყავი, მაგრამ წინასწარ ამ ყველაფრის თქმა მიჭირდა, იმიტომ რომ ძიუდოში თუ ბოლომდე არ დაიხარჯე და გასაკეთებელი არ გააკეთე, როგორც არ უნდა ძლიერი იყო, მაინც ვერ მიაღწევ შედეგს. ლიპარტელიანმა კი ყველაფერი ხუთიანზე შეასრულა. იყო ერთი მომენტი, როცა ფიზიკურად ძლიერ აზერბაიჯანელ ელმარ გასიმოვთან ვაზარს აგებდა, ეს კი იმან გამოიწვია, რომ გასიმოვი არ ეჭიდავებოდა, სულ დაცვაზე იდგა და მსაჯებიც არ აფრთხილებდნენ. ლიპარტელიანს მოთმინება აღარ ეყო, მოუმზადებლად ილეთი გააკეთა და, როგორც მსაჯებმა გადაწყვიტეს, ვაზარზე დაეცა.

ვალერი შემდეგ დაწყნარდა, მეც რჩევები მივეცი და სულ რამდენიმე წამში აზერბაიჯანელი სუფთაზე წააქცია. ლიპარტელიანის დანარჩენ შეხვედრებში კი ისეთი არაფერი მომხდარა, რომ გამოსარჩევი იყოს. მან ყველა ადვილად დაამარცხა.

**ზურაბ მიგრიაული**

2008 წლის 15 ოქტომბერს, 12 საათზე, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა დეპარტამენტის სააქტო დარბაზში ტარდება საქართველოს ტანვარჯიშის სახეობათა ეროვნული ფედერაციის საანგარიშო-საარჩევნო ყრილობა.

დელეგატთა რეგისტრაცია დაიწყება დილის 11 საათზე.

პრეზიდენტობის კანდიდატთა განცხადებების მიღების ბოლო ვადაა 2008 წლის 10 ოქტომბერი.

საქართველო კალათბურთის ფედერაცია აცხადებს მიღებას მსაჯთა მომზადების კურსებზე. მსურველებს გთხოვთ დაგვიკავშირდეთ მისამართზე:
ჭავჭავაძის გამზირი 49ა. ტელეფონი: 91 33 54

# სოფომ სოფია დაასრულა
## ქვაცაბაია ბადეში შავიდა

**სოფო ქვაცაბაიამ** მადრიდში მიმდინარე ტურნირზე საკვალიფიკაციო ეტაპიდან ძირითად ბადეში მოხვედრა შეძლო.

საკვალიფიკაციოში სოფომ ჯერ ესპანეთი პაულა რინიკონ ოტერო ჩამოიშორა, ძირითად ბადეში გასასვლელად კი აშშ-ს წარმომადგენელ კრისტი მილერს მოუგო — 1:6 6:2 6:2.

ქვაცაბაიას მომდევნო მეტოქე ტურნირზე მე-3 ნომრად განთესილი გერმანელი ანჟელიკ კერბერია.

რაც შეეხება წყვილთა გათამაშებას, ქვაცაბაიას და ბრაზილიელი სენინის ტანდემმა ესპანელების, არუაბარენას და ვეჩონის ძლევის შემდეგ, ასევე ესპანელებს, როსეტს და ფრანკოს მოუგეს. ქართულ — ბრაზილიური წყვილი მეოთხედფინალში გერმანელი მულერის და იტალიელი სახინის დუეტს დაუპირისპირდება.

მაკა ჩახნაშვილი იტალიის ქალაქ მესტრეში მიმდინარე ტურნირის ერთეულთა გათამაშებას გამოაკლდა. ჩახნაშვილმა ძირითადი ბადის პირველ შეხვედრაში წააგო ჩეხ ლუსი პრადეცკასთან — 1:6 6:4 1:6. ამავე შეჯიბრებაში ჩახნაშვილის და ფრანგი ჰაკის ტანდემმა იტალიელ ოპრანდისა და გერმანელ პეტკოვიჩის წყვილს სძლია — 7:5 6:2 და მეოთხედფინალში. [illegible] დუეტი ნახევარფინალში გასასვლელ მატჩს უნგრელი მაროსისა და ბრაზილიელი ტავარესის დუეტს ეთამაშება.

სოფო შაფათავა სოფიაში დაწყებულ საერთაშორისო ტურნირს საკვალიფიკაციო ეტაპიდან გამოეთიშა. შესარჩევის პირველი მატჩის მოგების შემდეგ შაფათავა ესპანელ ფერნანდეს-ბრუგუესს დაუპირისპირდა და დამარცხდა — 6:1 5:7 4:6.

შაფათავასა და რუსი ციბიჩევას წყვილმა ფრანგი ფორეზის და ხორვატი ტოსიჩის დუეტთან წააგო.

**ზურაბ მიგრიაული**



სოფო ქვაცაბაია




მაკა ჩახნაშვილი



# ჩვენებმა მეოთხე გაასამეს

**იაპონიის** დედაქალაქ ტოკიოში, სუმოს უდიდეს ცენტრ, „რიოგოკუ კოკუგიკანში" გუშინ სექტემბრის ბაშოს მეოთხე საბრძოლო დღე იყო.

დოჰიოზე მაკუუჩი დივიზიონში მოასპარეზე ორივე ქართველი სუმოისტი გამოვიდა — აღმოსავლეთის მეთექვსმეტე მაეგაშირა ლევან ცაგურია (კოკაი) და აღმოსავლეთის მეათე მაეგაშირა ლევან გორგაძე (ტოჩინოშინი).

ამჯერადაც ისე მოხდა, რომ ორივე ჩვენიანმა წყვილად ვერ შეძლო მოგება, ერთმა მოიგო, მეორემ კი წააგო.

დავიწყოთ მოგებული კოკაით, რომელიც ახლა წონაში საგრძნობლადაა დაკლებული. წინა ივლისის ბაშოს დროს ცაგურია 160 კგ-ზე მეტი იყო, ახლა კი მისი წონა 145 კილოგრამია. გუშინ კოკაი აღმოსავლეთის მეცამეტე მაეგაშირა ჩიოტაიკაის ეჭიდავა და დაამარცხა კიდეც. ახლა ლევანის ანგარიშზე სამი გამარჯვება და ერთი წაგებაა.

დღეს კოკაის დასავლეთის მეთორმეტე მაეგაშირასთან, დეჯიმასთან მოუწევს დაპირისპირება. ეს იაპონელი სუმოისტი უკვე 34 წლისაა და უმაღლეს დივიზიონში მეთორმეტე სეზონს ატარებს, თავის დროზე ის ოძეკის წოდებამდე იყო ასული. მიმდინარე ბაშოზე ცაგურიას მსგავსად მასაც სამჯერ მოიგო და ერთხელ დამარცხდა.

მართალია, ფიზიკური მონაცემების თვალსაზრისით ტოჩინოშინი კარგადაა მოძლიერებულ ივლისის შემდეგ, მაგრამ ჭიდაობის მხრივ აშკარად არ არის საუკეთესო ფორმაში. ივლისში ლევან გორგაძე სიმაღლით 191 სანტიმეტრი იყო, ახლა კი მოიმატა და 192 გახდა. წონაშიც 9-10 კილოთი დამძიმდა, დღეს მისი წონა 155 კილოგრამია.

ასეთი მონაცემების მიუხედავად, ტოჩინოშინი ვერა და ვერ ახერხებს იმ ჭიდაობას, რომელსაც მისგან სპეციალისტები ელიან. გუშინაც ვერაფერი მოახერხა აღმოსავლეთის მეცხრე მაეგეშირა პოკუტორიკს და ორთაბრძოლა წააგო. ამ მარცხის შემდეგ ჩვენს სუმოისტს ერთი მოგება და სამი წაგება დაუგროვდა.

მეხუთე დღეს ლევან გორგაძე აღმოსავლეთის მეექვსე მაეგეშირა ტოიოჰიბაკის შეერკინება და მეორე გამარჯვების მოპოვებას შეეცდება. ქართველს მომავალ მოწინააღმდეგეს ორი მოგება და ორი წაგება აქვს. ამ სუმოისტის სიმაღლე 184 სანტიმეტრია, სამაგიეროდ, წონითა ერთ-ერთი ყველაზე მძიმე მაკუუჩი დივიზიონში — 173 კილოგრამი. უკვე მეორე წელია, რაც იგი უმაღლეს დივიზიონში ასპარეზობს და სულ წინ და დინ მიიწევს.

ტურნირზე დაუმარცხებლად სვლას განაგრძობს თანამედროვე სუმოს უძლიერესი ფალავანი, მონღოლი იოკოძუნა ჰაკუჰო.

მან მეოთხე დღესაც წინა შეხვედრების მსგავსად გაიმარჯვა. ამჯერად მისი მსხვერპლი აღმოსავლეთის მესამე მაეგეშირა კიოკუტენჰო იყო. ამ მოგების შემდეგ ჰაკუჰოს ოთხი შეხვედრიდან ოთხი მოგება აქვს.

კიდევ ერთმა იოკოძუნამ შეძლო გუშინ გამარჯვება. მონღოლმა ასასორიუმ, რომელმაც ივლისის ბაშოზე ასპარეზობა ტრავმის გამო შეწყვიტა, ახლა კი ნელ-ნელა ცდილობს ფორმას დაბრუნებას. მეოთხე შეხვედრაში მან მესამე გამარჯვება მოიპოვა, აღმოსავლეთის მეორე მაეგეშირა კისენოსატოს სძლია. ახლა ასასორიუს ანგარიშზე სამი გამრჯვება და ერთი წაგებაა.

**გიორგი არაგული**



ლევან ცაგურია იგივე კოკაი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. B დივიზიონი. IV წრე. 17 სექტემბერი. 21 საათი

## შვედეთი 61:59 საქართველო

**18:18, 24:13, 12:11, 7:17**

### შვედეთი

| | წთ | 2ქ | 3ქ | საჯ. | მოხ. | პას. | ჩაჭ. | დაფ. | ფოლ. | დაკ. | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ლინდქვისტი | 31 | 1-2 | 1-5 | 1-3 | 2 | 1 | 1 | 0 | 3 | 0 | 6 |
| ჟერებკო | 27 | 1-8 | 1-3 | 2-3 | 8 | 0 | 1 | 0 | 0 | 4 | 7 |
| გრანტი | 24 | 2-6 | 1-5 | 4-6 | 2 | 3 | 4 | 0 | 1 | 0 | 11 |
| ბლომი | 17 | 1-6 | 1-1 | 1-1 | 4 | 0 | 0 | 0 | 4 | 1 | 6 |
| რინგსტრომი | 33 | 1-7 | 1-4 | 2-2 | 9 | 1 | 1 | 0 | 2 | 2 | 7 |
| მასამბა | 17 | 0-3 | 0-0 | 4-4 | 3 | 5 | 2 | 0 | 1 | 1 | 4 |
| ინანი | 10 | 1-2 | 0-1 | 0-0 | 0 | 0 | 1 | 0 | 2 | 0 | 2 |
| კიელბომი | 11 | 2-2 | 0-0 | 0-0 | 4 | 0 | 0 | 0 | 4 | 1 | 4 |
| მირტჰილი | 12 | 2-2 | 0-0 | 1-2 | 2 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | 5 |
| სკიოლდებრანდი | 20 | 2-8 | 1-6 | 2-2 | 7 | 0 | 1 | 2 | 3 | 0 | 9 |
| სულ | 202 | 13-46 | 6-25 | 17-23 | 46 | 10 | 11 | 2 | 23 | 9 | 61 |

### საქართველო

| | წთ | 2ქ | 3ქ | საჯ | მოხ | პას | ჩაჭ | დაფ | ფოლ | დაკ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| გიორგი ცინცაძე | 29 | 4-5 | 0-2 | 4-4 | 5 | 9 | 2 | 0 | 3 | 3 | 12 |
| ტარიონ ელისი | 35 | 0-1 | 2-8 | 0-2 | 5 | 0 | 2 | 0 | 4 | 5 | 6 |
| ვიქტორ სანიკიძე | 36 | 5-8 | 3-4 | 0-0 | 10 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 19 |
| ნიკა ცქიტიშვილი | 22 | 1-3 | 0-4 | 3-4 | 3 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | 5 |
| ზაზა ფაჩულია | 29 | 0-1 | 0-0 | 6-10 | 7 | 1 | 0 | 1 | 5 | 3 | 6 |
| გიორგი გამყრელიძე | 17 | 0-0 | 1-3 | 0-0 | 1 | 2 | 0 | 0 | 2 | 3 | 3 |
| ვლადიმერ ბოისა | 25 | 4-6 | 0-2 | 0-1 | 2 | 0 | 1 | 0 | 3 | 2 | 8 |
| ანატოლი ბოისა | 1 | 0-0 | 0-0 | 0-0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| გიორგი შემარდინი | 2 | 0-0 | 0-0 | 0-0 | 1 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 |
| კოტე ტულუში | 5 | 0-0 | 0-1 | 0-0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | 0 |
| სულ | 201 | 14-23 | 6-24 | 13-21 | 37 | 13 | 6 | 2 | 23 | 17 | 59 |



ვიქტორ სანიკიძის ქულები საქართველოს არ ეყო

# საქართველოს საგაზაფხულო გამოჰყვა

**საქართველოს** ნაკრებმა მეოთხედ ითამაშა შვედეთის ნაკრებთან და მესამედ დამარცხდა. რაც ყველაზე მთავარია, სამივე ეს წაგება ოფიციალურ შეხვედრაში მოხდა, გამარჯვებით კი მხოლოდ ერთხელ, ისიც ამხანაგურ მატჩში ვიმარჯვეთ.

ეს მატჩი, რომელიც ქალაქ უმეოში გაიმართა წლეულს ჩვენი ნაკრებისთვის ბოლო ოფიციალური დაპირისპირება იყო და სამწუხაროდ ზედიზედ მოპოვებული სამი გამარჯვების შემდეგ ამჯერად წავაგეთ სკანდინაველებთან, რომლებსაც თუ შემადგენლობებს გადავხედავთ პრობლემების გარეშე უნდა ვამარცხებდეთ.

სამწუხაროდ, კიდევ ერთხელ მოხდა ისე, რომ გამოცდა ჩვენმა გუნდმა ვერ ჩააბარა. წინა წლების მსგავსად უშუალო კონკურენტთან გასვლით მატჩში ვერც ამჯერად შევძელით გამარჯვება. მაშინ მაკედონია და ფინეთი იყვნენ, ახლა მათ შვედეთიც დაემატა.

მართალია ეს წაგება ტრაგედია არაა, მაგრამ ცუდი ისაა, რომ კიდევ ერთხელ გამოჩნდა, რომ საქართველოს არ ჰყავს იმ დონის გუნდი, როგორც მოთამაშეთა სახელებიდან ჩანს.

კი ბატონო, მომავალ წელს ყველაფერი ჩვენს ხელშია, საჭიროა თბილისში გასამართი ოთხი მატჩიდან ოთხივე მოვიგოთ, სავარაუდოდ ჯგუფში პირველ ადგილს დავიკავებთ და პლეი ოფში იმედია ჩერნიგორიას ავცდებით.

ახლა საქართველოს ნაკრების უპირველესი ამოცანა ხწორედ ეს გახდა. ჩვენებმა ყველაფერი უნდა გააკეთონ, რათა მომავალ წელს თუ პლეი ოფამდე მიაღწიეს, იქ ჩერნოგორიის ძლიერ გუნდთან დაპირისპირება აიცილონ თავიდან.

რაც შეეხება უშუალოდ გუშინდელ მატჩს, მასში თავიდან ჩვენები დაწინაურდნენ და საკმაოდ კარგადაც გამოიყურებოდნენ. მაგრამ გუნდის ლიდერებმა ვერ მოახერხეს სასურველი თამაშის ჩვენება და აქედან გამომდინარე დამარცხდნენ კიდეც.

გუშინ საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში ორადორი კალათბურთელის გაკიცხვა არ შეიძლება. გიორგი ცინცაძე და ვიქტორ სანიკიძე — სწორედ ეს ორი მოთამაშე აკეთებდა ყველაფერს და ლამის გადაარჩინეს კიდეც წაგებული მატჩი.

მატჩის პირველი პერიოდი ჩვენი უპირატესობით მიდიოდა, მაგრამ ბოლო წამებზე ანგარიში გათანაბრდა — 18:18. აი ამის მერე სკანდინაველები სულ უფრო და უფრო ათამაშდნენ. მათ გაილაღეს ფარიდან ასხლეტილი ბურთისათვის ბრძოლაში და საბოლოოდ 46:37 გვაჯობეს.

მასპინძლებმა ყველაზე დიდ უპირატესობას თამაშის დასრულებამდე 8 წუთით ადრე მიაღწიეს, როდესაც ანგარიში 58:42 გახდა.

მაშინ გამოცოცხლდნენ ქართველები და როგორც იქნა ათამაშდნენ, მეტოქეს დარჩენილ დროში მხოლოდ სამი ქულა ჩააგდებინეს. მაგრამ ეს არ აღმოჩნდა საკმარისი გამარჯვების მოსაპოვებლად.



ტაირონ ელისს ბოლო ბასი გაუფუჭდა

თამაში ყველაზე მეტად ბოლო წუთებზე დაიძაბა, როდესაც ბოლო ორ წუთში ქართველებმა ანგარიში 60:52-დან ცინცაძის და სანიკიძის ორქულიანების და ტაირონ ელისის სამქულიანის შემდეგ 60:59 გახადეს. სხვათა შორის ეს გაქართველებულ ამერიკელისთვის მეორე ზუსტი სამქულიანი იყო მატჩში.

შეხვედრის დასრულებამდე ათი წამილა იყო დარჩენილი, შვედებმა წუთშესვენება რომ აიღეს. მერე თამაში გვერდით ხაზიდან განაახლეს, ჩვენებს ერთადერთი შანსი რჩებოდათ, მეტოქეზე დაჯარიმდნენ, მაგრამ პირველი პერსონალური, რომელიც გამყრელიძემ მიიღო მაინც არ იყო სასროლი, ამის შემდეგ 2 წამში ტაირონ ელისი დაჯარიმდა და შვედმა გრანტმა ორიდან ერთი საჯარიმო გამოიყენა.

7 წამილა რჩებოდათ ჩვენებს ბოლო შეტევისათვის. ბურთი ტაირონ ელესმა მიიღო და საბედისწერო შეცდომაც დაუშვა, მან არაზუსტი გადაცემა შეასრულა და ამით დასრულდა კიდეც მატჩი.

შეხვედრის ანტიგმირი ერთი სიტყვით ტაირონ ელისი გახდა, რომელმაც 35 წუთში 8-დან 2 სამქულიანი გამოიყენა, 5-ჯერ მოხსნა ბურთი ფარიდან და 5 შეცდომაც დაუშვა.

სამწუხაროდ ლიდერობა ვერ აიღო თავის თავზე ზაზა ფაჩულიამ, რომელიც მეოთხე მეოთხედში 5 პერსონალურის გამო საერთოდ მიაბრძანეს მოედნიდან.

ქართველთა შემადგენლობიდან საუკეთესო ვიქტორ სანიკიძე იყო 19 ქულითა და 10 მოხსნის, მას დაეხმარა ცინცაძეც — 12 ქულა 9 შედეგიანი გადაცემა, მაგრამ ეს არ აღმოჩნდა საკმარისი ჩვენების გამარჯვებისთვის.

ახლა ისღა დაგვრჩენია ბოლო მატჩის წაგებით გულდაწყვეტილები მომავალ წელს დაველოდოთ და იმედი ვიქონიოთ, რომ ამ შესარჩევ ციკლში მაინც გვეშველება რამე.

ნამატჩევს საქართველოს ნაკრების მწვრთნელის თანაშემწემ **დავით უსტიაშვილმა** ეს გვითხრა: „ბოლოს როდესაც 7 წამი იყო დარჩენილი, ტაირონ ელისი გადადიოდა შეტევაზე. ამ დროს მეტოქესთან იყო კონტაქტი, ახლა ძნელია იმაზე ლაპარაკი, იყო თუ არა დარღვევა, მანამდე იყო უხეშობა ზაზა ფაჩულიაზე, მას უკნიდან ჩაარტყეს ხელი, ეს იყო ჯარიმა, ზაზამ უთხრა, რომ ჯარიმააო, ამაზე ფაჩულიამ ტექნიკური ჯარიმა მიიღო და მოედანი დატოვა. ერთერთი, რაშიც შვედებმა გვაჯობეს, ეს მოხსნებია. მათ ჩვენს ფარზე 25 მოხსნა გააკეთეს. შესაბამისად, ვერ გადავედით სწრაფად შეტევაში, თან საშუალო და შორი სროლებიც არ წაგვივიდა. პირველ მეოთხედში ათი ქულით დაწინაურების შემდეგ, ბიჭებმა თავი დაიარხეინეს, ეს ძვირად დაგვიჯდა. ნაკრებს აშკარად ეტყობოდა, რომ გადაიღალა, თუმც საგანგაშო არაფერია, გაისად ყველა მატჩს თბილისში ვუმასპინძლებთ და დარწმუნებულები ვართ, ჯგუფიდან გასვლას შევძლებთ".

**გიორგი არაბული**

**სლოვაკეთი 110:67 ლუქსემბურგი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| საქართველო | 4 | 3 | 1 | 7 |
| შვედეთი | 3 | 3 | 0 | 6 |
| სლოვაკეთი | 3 | 1 | 2 | 4 |
| ირლანდია | 3 | 1 | 2 | 4 |
| ლუქსემბურგი | 3 | 0 | 3 | 3 |

ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვას წარმოგიდგენთ
სლოტ პოკერ კლუბი VEGA

# ჩემპიონთა ლიგა 2008-2009
## ჯგუფური ეტაპი. I ტური. ფუხელ

### E ჯგუფი

**მანჩესტერი 0:0 ვილიარეალი**

მანჩესტერი: ვან დერ სარი, ნევილი, ფერდინანდი, ევანსი, ევრა, ნანი, ფლეტჩერი, ჰარგრივსი (ანდერსონი 62), პარკი (კრიშტიანუ რონალდუ 62), რუნი, ტევესი (გიგზი 81)
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
ვილიარეალი: დიეგო ლოპესი, ანხელ ლოპესი, გოდინი, გონსალო, კაპდევილა, კანი (კასორლა 46), ეგურენი, მატი, ედმილსონი, პირესი (იბაგასა 67), ფრანკო (იორენტე 77)
მწვრთნელი: მანუელ პელეგრინი
გაფრთხილება: ფრანკო, ტევესი, იბაგასა, დიეგო ლოპესი
მსაჯი: ვოლფგანგ შტარკი (გერმანია)
74 944 მაყურებელი

**სელტიკი 0:0 ოლბორგი**

რობსონმა ვერ გაიტანა პენალტი (30)
სელტიკი: ბორუცი, ჰინკელი, კოლდუელი, მაკმანუსი, ნეილორი, მელონი (ვენეგორ ოფ ჰესელინკი 72), რობსონი, ბრაუნი, ნაკამურა, სამარასი, მაკდონალდი (მაკგიდი 63)
მწვრთნელი: გორდონ სტრაჩანი
ოლბორგი: ზაზა, ბიუჩემპი, იაკობსენი, ოლფერსი, პედერსენი, კურტი (ნილსენი 86), იოჰანსონი, აუგუსტინუსენი, რისგარდი, ენევოლდსენი, საგანოვსკი
მწვრთნელი: ბრიუს რიოჩი
გაფრთხილება: მაკმანუსი, იოჰანსონი, სამარასი
გაძევება: ბიუჩემპი (80)
მსაჯი: მატეო სიმონე ტრეფოლონი (იტალია)
57 432 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლბორგი | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| სელტიკი | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| მანჩესტერი | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| ვილიარეალი | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |

### F ჯგუფი

**ლიონი 2:2 ფიორენტინა**

0:1 0:2 ჯილარდინო (12, 42), 1:2 პიკიონი (73), 2:2 ბენზემა (86)
ლიონი: ლორისი, რევეიერი, ბუმსონგი, ბოდმერი, კალსტრიომი, ტულალანი, მაკუნი (ედერსონი 60), ჟუნინიო, გოვუ (მუნიე 89), ბენზემა, ფრედი (პიკიონი 65)
მწვრთნელი: კლოდ პიუელი
ფიორენტინა: ფრეი, ძაური (იორგენსენი 76), კროლდრუპი, დაინელი, ვარგასი, კუზმანოვიჩი (სანტანა 64), ფელიპე მელუ, მონტოლივო, ალმირონი, ჯილარდინო (პაცინი 81), მუტუ
მწვრთნელი: ჩეზარე პრანდელი
გაფრთხილება: დაინელი, ფელიპე, ჯილარდინო, ბენზემა, იორგენსენი
მსაჯი: პეტერ ფროიდფელდტი (შვედეთი)
43 000 მაყურებელი

**სტიაუა 0:1 ბაიერნი**

0:1 ვან ბუიტენი (15)
სტიაუა: საპატა, ოგარარუ, გოიანი, გიონეა, მარინი, სემედუ, ლოვინი, მორენო, ტოხა (პეტრე 77), სეკუი (კაპეტანოსი 82), ბერნჰარდტი (სტანჩუ 71)
მწვრთნელი: მარიუს ლეკატუში
ბაიერნი: რენზინგი, ლელი, ლუსიო, ვან ბუიტენი, დემიკელისი, ლამი, ვან ბომელი, შვაინშტაიგერი (ბოროვსკი 84), ზე რობერტო (ოტლი 75), ტონი, კლოზე (პოდოლსკი 46)
მწვრთნელი: იურგენ კლინსმანი
გაფრთხილება: გოიანი, ლოვინი, პოდოლსკი
მსაჯი: კლაუს ბო ლარსენი (დანია)
15 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაიერნი | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| ფიორენტინა | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 1 |
| ლიონი | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 1 |
| სტიაუა | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |

### G ჯგუფი

**დინამო 1:1 არსენალი**

1:0 ბანგურა (64პ), 1:1 გალასი (88)
დინამო: ბოგუში, ნესმაჩნი, მიხალიკი, დიაკატე, ბეტაუ, იუსუფი (ასათიანი 90), ვუკოიევიჩი, ნინკოვიჩი, ალიევი, ერიომენკო, ბანგურა (კრავეცი 90)
მწვრთნელი: იური სიომინი
არსენალი: ალმუნია, კლიში, გალასი, ტური, სანია (ებუე 78), დენილსონი, სონგი (ბენდტნერი 70), ფაბრეგასი, უოლკოტი, ადებაიორი, ვან პერსი (ველა 84)
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
გაფრთხილება: ნესმაჩნი, სანია, ბანგურა, ვუკოიევიჩი, დიაკატე
მსაჯი: ლუის მედინა კანტალეხო (ესპანეთი)
20 000 მაყურებელი

**პორტუ 3:1 ფენერბაჰჩე**

1:0 ლისანდრო ლოპესი (11), 2:0 ლუჩო გონსალესი (13), 2:1 გუისა (29), 3:1 ლინუ (90)
პორტუ: ელტონი, როლანდუ, ბრუნო ალვეში, საპუნარუ, ფერნანდუ, მარიანო გონსალესი (ულკი 60), ბენიტესი, რაულ მეირელეში (კოსტა 67), ლუჩო გონსალესი, კრისტიან როდრიგესი (ლინუ 90), ლისანდრო ლოპესი
მწვრთნელი: ჟესუალდუ ფერეირა
ფენერბაჰჩე: ვოლქან დემირელი, ლუგანო, იასინი, გიოქჰანი, რობერტო კარლოსი, მალდონადო, ალექსი, ემრე, სელჩუქი (ხოსიკო 46, ბურაქი 53), უღურ ბორალი (ქაზიმი 76), გუისა
მწვრთნელი: ლუის არაგონესი
გაფრთხილება: საპურანუ, ლუგანო, გუისა
მსაჯი: ბერტრან ლეიეკი (საფრანგეთი)
43 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 1 | 1 | 0 | 0 | 3:1 | 3 |
| არსენალი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| დინამო | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| ფენერბაჰჩე | 1 | 0 | 0 | 1 | 1:3 | 0 |

### H ჯგუფი

**რეალი 2:0 ბატე**

1:0 სერხიო რამოსი (11), 2:0 ვან ნისტელროი (57)
რეალი: კასილიასი, სერხიო რამოსი, კანავარო, ჰაინცე, მარსელუ, ვან დერ ვაარტი, გაგო (დიარა 36), გუტი (იგუაინი 68), რობენი (დრენტე 61), რაული, ვან ნისტელროი
მწვრთნელი: ბერნდ შუსტერი
ბატე: ვერემკო, ხაგუში, რჟევსკი, სოსნოვსკი, იურევიჩი, ნეხაიჩიკი, სივაკოვი, კრივეცი, ლიხტაროვიჩი (ვოლოდკო 58), სტასევიჩი (ჟავნერჩიკი 46), მირჩევი (კაზანცევი 64)
მწვრთნელი: ვიქტორ გონჩარენკო
გაფრთხილება: ხაგუში, ხაგუში, კრივეცი
გაძევება: ხაგუში (62)
მსაჯი: ალენ ჰამერი (ლუქსემბურგი)
65 000 მაყურებელი

**იუვენტუსი 1:0 ზენიტი**

1:0 დელ პიერო (76)
იუვენტუსი: ბუფონი, გრიგერა, ლეგროტალიე, კიელინი, მოლინარო (დე ჩელიე 57), კამორანეზი (სალიჰამიჯიჩი 32), სისოკო, პოულსენი, ნედვედი, ტრეზეგე (ამაური 87), დელ პიერო
მწვრთნელი: კლაუდიო რანიერი
ზენიტი: მალაფეევი, ანიუკოვი, კრიჟანაცი, პიუიგრენიე, შირლი, ზირიანოვი (დომინგესი 80), დენისოვი, ტიმოშჩუკი, არშავინი, პოგრებნიაკი, დანი
მწვრთნელი: დიკ ადვოკატი
გაფრთხილება: პოგრებნიაკი, შირლი, სალიჰამიჯიჩი
მსაჯი: ფრანკ დე ბლეკერე (ბელგია)
22 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეალი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 |
| იუვენტუსი | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| ზენიტი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| ბატე | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 |

# ზაზა



ქარიმ ზაზამ ბარი რობსონს პენალტი აუღო

**ლიონში** 74-წუთზე დიდი გაწევ-გამოწევა მოხდა. ფრანგებმა შეტევა არ გააჩერს, როცა „ფიორენტინას" მცველი საკუთარ საჯარიმოში ტრავმირებული და ჩამუხლული იყო. ბენზემამ მეტოქეს ყური არ უგდო და კარის წინ პიკიონს გაუგორა, რომელმაც სახვაობა შეამცირა.

ამის გამო გაბრაზებულმა სტუმრებმა მასპინძლებისკენ გაიწიეს. დუბლის შემსრულებელმა ჯილარდინომ (ორივე თავით გაიტანა) ბენზემას ჩხუბი აუტეხა და ბიჭები ერთმანეთისგან ძლივს გააშორეს.

მატჩის დასრულებამდე ხუთი წუთით ადრე კი „ცოცხალი კედლის" უკან ჩასაფრებულმა ბენზემამ ჟუნინიოსგან პასი მიიღო და ახლო კუთხეში გაიტანა.

ამავე ჯგუფში იურგენ კლინსმანის სამწვრთნელო დებიუტი ჩემპიონთა ლიგაში „სტიაუასთან" გამარჯვებით დასრულდა. ელიტაში დაბრუნებულ „ბაიერნს" ვან ბუიტენის თავურმა სამი ქულა მოუტანა.

ორწლიანი განშორების შემდეგ ლიგას მოგებით დაუბრუნდა „იუვენტუსი". უეფას და სუპერთასის მფლობელმა „ზენიტმა" იბრძოლა, მაგრამ დელ პიერომ თავისი მაინც გაიტანა. თან საიდან გაიტანა — დაახლოებით 30 მეტრიდან საჯარიმო დარტყმით. ბურთმა ჰაერში იმოგზაურა, მეკარე დააბნია და კარში ჩაეშვა. გოლი მხოლოდ „იუვეს" სათადარიგოთა სკამზე მსხდომთ კი არა, სკამსაც კი გაუხარდა და კინაღამ ისიც მოედანზე შევარდა.

დებიუტანტ ბატე-ს საწუწუნო არაფერი არ უნდა ჰქონდეს, რადგან ამ დონის გუნდისთვის ორბურთიანი სახაობით წასაგებად „სანტიაგო ბერნაბეუზე" ჩასვლა ღირს. თან ბოლო 28 წუთი კაცნაკლულები დარჩნენ. ხაგუშმა დრენტეს კოჭში ქაცვები ჩასცხო და მეორე ყვითელი გაუწითლდა.

ევროპის ჩემპიონი ლუის არაგონესის „ფენერი" პორტუში, ეტყობა, გამოუძინებელი ჩავიდა. სანამ სტუმართა მცველები ამთქნარებდნენ, მასპინძლებმა 14 წუთში ორი გოლის გატანა მოასწრეს.

დანიელ გუისამ მალე კი უპასუხა და „ფენერის" დაცვამაც გამოიღვიძა, მაგრამ სტამბოლელებმა გათანაბრება ველარ მოახერხეს.

ბოლო წუთზე, კონტრშეტევისას ლინუ სტუმარ მეკარესთან პირისპირ დარჩა და მესამე შეაგდო.

„არსენალს" კიევში გუშინდლამდე ბოლო სამიდან სამი მატჩი ჰქონდა წაგებული და მეოთხისგან ვილიამ გალასმა იხსნა. ფრანგი მცველი ბოლო წუთებზე შეტევაში წავიდა და ფლანგიდან ჩაწოდებული ბურთი კარში ახლოდან შეტენა.

მანამდე კი „დინამო" ისმაელ ბანგურას პენალტით დაწინაურდა. „დინამოს" შემადგენლობაში ბოლო წუთზე შეცვლაზე მალხაზ ასათიანი შევიდა.

პირველ ჯგუფში გოლებზე იძუნწეს, მაგრამ საინტერესო ის იყო, რომ ამ ზაფხულს „რეალში" ვერგადასული კრიშტიანუ რონალდუ „ოლდ ტრეფორზე" 62-ე წუთზე გამოჩნდა. ცოტა დახლართა კიდეც თავისებური და ერთხელ თავურით გატანაც შეეძლო, მაგრამ ტრავმამოშუშებულს ფორმის აღსადგენად კიდევ დრო დასჭირდება.

„მანჩესტერის" და „ვილიარეალის" მესამე შეხვედრა ჩემპიონთა ლიგაში წინა ორივით უგოლოდ დასრულდა.

გლაზგოში კი „ოლბორგის" მაროკოელმა მეკარემ ქარიმ ზაზამ 30-ე წუთზე რობსონს პენალტი აუღო. ბოლოსკენ დანიელებს ბიუჩემპი გაუძევეს, რომელმაც მეკარესთან პირისპირ გამსვლელი სამარასი წააქცია, მაგრამ „სელტიკის" შეტევებს ათკაცა „ოლბორგიც" გაუმკლავდა.

**ვაჟა ხუციშვილი**

### ინგლისი
ჩემპიონლიგა
ნორვიჩი 0:1 ძუინზ პარკი
საუთჰემპტონი 2:2 იფსვიჩი

### ნორვეგია
I დივიზიონი
ჰიონეფოსი 2:2 სანდნესი
სანდეფიორდი 2:1 სტარტი

### შვედეთი
ალსვენსკა
გიოტებორგი 3:0 ჰალმსტადი
ელფსბორგი 4:0 მალმიო

### იტალია
თასი
სიენა 0:2 ემპოლი
კატანია 4:0 პადოვა
რეჯინა 4:0 კალიარი

### დანია
პირველი დივიზიონი
კიოგე 2:3 ვიბორგი
ფრემადი 0:1 აკადემისკი

### არგენტინა
აპერტურა
კოლონი 3:3 ლანუსი
ტიგრე 3:1 ხიმნასია ლ. პ.
ბანფილდი 1:3 სან ლორენსო
ურაკანი 1:1 ნიუელსი
ესტუდიანტესი 1:1 სან მარტინი
გოდოი კრუსი 1:0 რასინგი
რივერ პლეიტი 1:0 ველესი
როსარიო 3:0 არსენალი

### ისლანდია
პრემიერდივიზიონი
კეფლავიკი 3:1 ბლეიდაბლიკი

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი გიორგი დარჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი ზვიად მოსიაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კოკა ინასარიძე, ნუგზარ ლოლაძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ჟორჟოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვიაჩესლავ გასპაროვი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი აჰელედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ვლადიმერ ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: თამაზ მიგრიაული, ირაკლი პერტაია, გრიგოლ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლიანა ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, თამარ ქინქლაძე

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge